

კომპლექსური ტექნიკური ანგარიში

შეფასებითი და მონაცემთა ამოღების არქეოლოგიური  
კვლევები უბანზე IV-293, KP 202+900-ზე ბორჯომის რაიონში,  
სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

მოამზადა:  
**გიორგი გოგოშვირი**  
**ალექსანდრე ორჯონიძე**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის  
არქეოლოგიის ცენტრი

უზნაძის ქ. №14  
0102 თბილისი, საქართველო

გადაეცა:  
**BTC და SCP მილსადენის კომპანიას**

საბურთალოს ქ. №38  
თბილისი, საქართველო

სამუშაოები ჩატარდა შემდეგი დაკვეთის საფუძველზე:

**C-06-BTC-116628**  
**C-06-SCP-116630**  
**დაბეჭდი HL-239**

2007

## სათაო ფურცელი

სარჩევი.....	i
აბსტრაქტი.....	ii
ტაბულების აღწერა.....	ii-v
ცხრილების ჩამონათვალი.....	vi
დანართების ჩამონათვალი.....	vii
1.0 შესავალი.....	1-2
2.0 გარემო პირობები .....	3
2.1. არქეოლოგიური უძნის ადგილმდებარეობა და აღწერილობა.....	3
2.2. წარსულში არსებული გარემო პირობები.....	3
2.3. მიწის ფართობის გამოყენების ისტორია.....	5
3.0. კულტურული ფონი.....	6
3.1. პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი.....	6
3.2. ადრე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვა... <td>12</td>	12
4.0. მეთოდოლოგია .....	13
4.1. საველე მეთოდები.....	13
4.2. ლაბორატორიული საქმიანობის მეთოდები.....	13
5.0. შედეგები .....	15
5.1. მიმოხილვა.....	15
5.2. ძეგლები .....	15
5.3. არტეფაქტები .....	22
6.0 ინტერპრეტაცია.....	33
7.0 დასკვნები და რეკომენდაციები .....	42
გამოყენებული ლიტერატურა .....	44
დანართები.....	46

## აბსტრაქტი

ეს ანგარიში წარმოადგენს ნავთობსადენისა და გაზსადენის სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით ჩატარებულ არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგებს ძეგლზე IV-293, თისელის სერი, რომელიც მდებარეობს ისტორიულ თორში, ბორჯომის რაიონში, 202+900 კმ. ნიშნულზე. სოფ. ტაძრისის სამხრეთ-დასავლეთით მისგან ორიოდე კილომეტრის დაშორებით. ახალციხისა და ბორჯომის რაიონების ადმინისტრაციულ საზღვარზე - თისელის სერზე. მდებარეობის მიხედვით ძეგლს «თისელის სერის ნამოსახლარი და სამაროვანი» ეწოდა. ძეგლი აღმოჩნდა და ძლიერ დაზიანდა მიწის სამუშაოების დროს 2004 წლის ზაფხულში. მისი არსებობის შესახებ არქეოლოგებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2004 წლის ოქტომბერში, რის შემდეგაც დაიწყო ძეგლის შესწავლა. გამოკვლევის მიზანი იყო ძეგლის ხასიათის გარკვევა, მონაცემთა ამოდება და კორიდორის განთავისუფლება. საველე და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა არქეოლოგიის ინსტიტუტის ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის ტაძრისის რაზმის მიერ, გიორგი გოგოჭურის ხელმძღვანელობით, 2004, 2005, 2006 და 2007 წლებში. ნამოსახლარი და სამაროვანი, არის ერთფენიანი და ის თარიღდება ადრებრინჯაოს ხანით. გათხრები ჩატარდა მხოლოდ მიღსადენის კორიდორში და ამიტომ ვერ მოხერხდა მისი საზღვრების დადგენა. ნავთობსადენის მილის მონაკვეთზე, თხრილების მეშვეობით შესწავლილი იქნა 75X8 მ. სიგრძის ზოლი. საბოლოოდ ამ უბანზე გაითხარა 600 მ<sup>2</sup> ფართობი, სადაც გამოვლინდა სამი ნაგებობის უმნიშვნელო ნაშთი და ორი სამარხი.

გაზსადენის მილის ჩასადები ზოლის გასწვრივ 50გ X4 მ. ფართობზე გაივლო 10 სადაზვერვო თხრილი. შედეგი მოგვცა ოთხმა თხრილმა, რომელთა გაერთიანების შემდეგ ბოლომდე გაითხარა 21X4,5 მ. ფართობი. შესწავლილ ნაწილში აღმოჩნდა რვა სამარხი და ერთი ცილინდრული კერა. ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტების საერთო რაოდენობა 677 ერთეულს შეადგენს. აქედან თიხის ჭურჭელი 573 ერთეულია. ქვის იარაღები 57 ცალი. მცირე ზომის ფიგურების ფრაგმენტები 3 ცალი. ძეგლზე ნაპოვნია ლითონის მხოლოდ ერთი ნივთი - ბრინჯაოს ცული. ამას ემატება ადამიანის ძვლოვანი მასალა და პალეოზოოლოგიური ნაშთები. თისელის სერის ნამოსახლარი და სამაროვანი მტკვარ-არაქსის კულტურის ერთადერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, ბორჯომის რაიონში. მოპოვებულ მასალებში ბევრი სიახლე ჩანს. მაგალითად: ორნამენტირებული ნალისებური სადგრის ფრაგმენტი და თიხის ჭურჭელზე არსებული სამკუთხედების მეშვეობით შექმნილი ცხოველური ორნამენტი.

სასურველია, დერეფნის გარეთ, სამხრეთით, დაუზიანებულ ფართობზე ჩატარდეს არქეოლოგიური გათხრები დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რათა სრული წარმოდგენა შეგვექმნას ძეგლის ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე, გავრცელების საზღვრებსა და რაც მთავარია მის არქიტექტურაზე.

BP-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მოთხოვნით ფართობის შეფასებითი სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე დერეფნის გარეთ, 201+450 კმ. ნიშნულზე, სოფ. ტაძრისის სამხრეთ-დასავლეთით მისგან ერთი კილომეტრის დაშორებით. საძიებო გათხრებით გასხვისების ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლები არ დადასტურდა.

**ტაბულების აღწერილობა:**

**ტაბ. I.** საქართველოში პროექტის ფართობისა და ძეგლის მდებარეობის მაჩვენებელი რუკა.

**ტაბ. II.**

1. KP 201+450 დერეფნის გარეთ, ჩრდილოეთით, მდებარე ტერიტორია სადაც გაიჭრა სადაზვერვო თხრილები №№1-4. ხედი აღმოსავლეთიდან.

2. KP 201+450 დერეფნის ჩრდილოეთით გაჭრილი სადაზვერვო თხრილი №1 ხედი ჩრდილოეთიდან

**ტაბ. III**

1. KP 201+450 დერეფნის გარეთ, სამხრეთით, მდებარე ტერიტორია, სადაც გაიჭრა სადაზვერვო თხრილებით №№5-6. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

2. KP 201+450 დერეფნის სამხრეთით გაჭრილი თხრილი №6. ხედი ჩრდილოეთიდან.

**ტაბ. IV.**

1. KP 202+900 გათხრების დაწყებამდე

2. არქეოლოგიური გათხრები KP 202+900-ზე

**ტაბ. V.** უბის ტოპოგეგმა

**ტაბ. VI.** კორიდორის სამხრეთი მონაკვეთის გენგეგმა

**ტაბ. VII.** კორიდორის სამხრეთი მონაკვეთის გენგეგმა და ჭრილი

**ტაბ. VIII.**

1. გაზსადენის მონაკვეთი თხრილში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ხედი დასავლეთიდან.

2. გაზსადენის მონაკვეთი. თხრილის სამხრეთის ჭრილის პროფილი. ხედი ჩრდილოეთიდან

**ტაბ. IX.** გაზსადენის მონაკვეთის გენგეგმა და სტრატიგრაფიული ჭრილი

**ტაბ. X.** გაზსადენის მონაკვეთის გენგეგმა და ჭრილი არქეოლოგიური ძეგლებით.

**ტაბ. XI.** ნავთობსადენის მონაკვეთი. ნაგებობა №1-ის კედლის ნაშთი გეგმა და ჭრილი

**ტაბ. XII.** ნავთობსადენის მონაკვეთი, ნაგებობა №2-ის ნაშთი, ხედი დასავლეთიდან.

**ტაბ. XIII.** ნავთობსადენის მონაკვეთი, ნაგებობა №3-ის ნაშთი ხედი დასავლეთიდან

**ტაბ. XIV.**

1. ნავთობსადენის მონაკვეთი. სამარხი №1. ხედი ჩრდილოეთიდან

2. ნავთობსადენის მონაკვეთი. სამარხი №3. ხედი ჩრდილოეთიდან

**ტაბ. XV.** გაზსადენის მონაკვეთი. სამარხი-აკლდამა №4 გეგმა და ჭრილი

**ტაბ. XVI.** გაზსადენის მონაკვეთი. სამარხი №5 გეგმა

**ტაბ. XVII.** გაზსადენის მონაკვეთი. სამარხი №6 გეგმა და ჭრილი

**ტაბ. XVIII.** სამარხები №7 № 8 გეგმები

**ტაბ. XIX.** გაზსადენის მონაკვეთი. სამარხი №9 გეგმა

**ტაბ. XX.** გაზსადენის მონაკვეთი. სამარხი №10 გეგმა

**ტაბ. XXI.** გაზსადენის მონაკვეთი. ცილინდრული კერა, ხედი სამხრეთიდან.

**ტაბ. XXII.** თიხის დერეგები №2 ნაგებობიდან: 78/211-1; 114/294

**ტაბ. XXIII.** თიხის ჭურჭელი №2 ნაგებობიდან: ჯამი - 114/293; დერგები - 114/299; 114/299-1; 14/299-2.

**ტაბ. XXIV.** თიხის ნაწარმი №3 ნაგებობიდან: სადგრები 34/141; 55/181-1; 65/191-ცხვრის ფიგურა (?); 66/192 - თიხის მძივსაკიდი.

**ტაბ. XXV.** თიხის ტაფა - 23/122; ხელსაფქვავი 1/6 - №1 ნაგებობიდან, ნალისებური სადგრის ფრაგმენტები - 69/195; 121/317 და ხუფის ფური - 81/218

კულტურული ფენიდან. თიხის - 111/284 ყალიბი და თიხის ბადიის ფრაგმენტი 104/260, №2 ნაგებობიდან.

**ტაბ. XXVI.** გაზსადენის მონაკვეთი. თიხის ჭურჭელი სამაროვნის კულტურული ფენიდან: დერგი 213/527; ქოთნის ძირ-გვერდი - 214/526; ტაფის ძირები - 227/594; 263/672; დერგის ძირი - 232/606; კოჭობი - 213/603.

**ტაბ. XXVII.** თიხის ჭურჭელი №2 ნაგებობიდან. დერგების ორნამენტირებული ფრაგმენტები - 42/162; 80/215; 82/226; 94/247; საწური (?) - 105/261; ჯამი - 98/253; ხარის ფიგურის ფრაგმენტი - 99/254.

**ტაბ. XXVIII.** გაზსადენის მონაკვეთი, ცილინდრული ქერა - 213/506 კულტურული ფენიდან. ხუფის პროფილები - 10/83, 16/100-1, 22/117 №1 ნაგებობიდან; 179/399, 219/563, 234/615 - სამაროვნის კულტურული ფენიდან.

**ტაბ. XXIX.** ნალისებური სადგრის ფრაგმენტი - 44/166 №3 ნაგებობიდან, სადგრის ნაწილი - 3/18 და ბრინჯაოს ცული - 31/133-1 - № 1 ნაგებობიდან.

**ტაბ. XXX.** გაზსადენის მონაკვეთი. მცირე ზომის ქოთნები - 213/508; 213/509; ანთროპომორფული (?) ფიგურის თავი თიხისა, სადგრის დეტალი - 175/395; ხელსაფქვავი სამაროვნის კულტურული ფენიდან 188/428.

**ტაბ. XXXI.** გაზსადენის მონაკვეთი. არტეფაქტები სამაროვნის კულტურული ფენიდან. რქისებური სადგრის ფრაგმენტები: 227/591, 213/505; ჯამები - 213/507, 233/613; ცილინდრული ქერის ფრაგმენტი - 212/477.

**ტაბ. XXXII.** თიხის ჭურჭელი №1 და №2 სამარხიდან.

**ტაბ. XXXIII.** პასტის მძივები, 252/657; ძვლის კვირისტავი 252/656-1 - №4 სამარხი-აკლდამიდან და თიხის ხელადა 257/663 №6 სამარხიდან.

**ტაბ. XXXIV.** ბრინჯაოს ცული 133-1 №1 ნაგებობიდან, რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.

**ტაბ. XXXV.** ნალისებური სადგრის ფრაგმენტი - 302 №2 ნაგებობიდან

**ტაბ. XXXVI.** ნამგლის ჩასართები. კაჟის - 133,133-3; 193-1; 194; 194-1; №1 და №3 ნაგებობიდან

**ტაბ. XXXVII.** ობსიდიანის ლამელა - 470, ნამგლის ჩასართი 432-1 და შუბის პირი კაჟის 523.

**ტაბ. XXXVIII.** რესტავრირებული თიხის ჭურჭელი №1 და №6 სამარხებიდან - 368, /663 და მცირე ზომის ქოთნები 508, 509. სამაროვნის კულტურული ფენიდან.

**ტაბ. XXXIX.** ქსოვილიანი ქერამიკის ფრაგმენტები 245; 353 და დერგის ყელი - 613 რომლის ამოყვანისათვის გამოყენებულია ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხი.

**ტაბ. XL.** ანთროპოლოგიური მასალები თიხელის სერის სამაროვნის სამარხებიდან.

**ტაბ. XLI.** რესტავრირებული თავის ქალები თიხელის სერის სამაროვნის №6, №7, №8 სამარხებიდან.

**ტაბ. XLII.** პალეოზოლიკური მასალები თიხელის სერის სამაროვნის სამარხებიდან: 667 - ცხვარი (№8 სამარხი); 670 - ძროხა (№9 სამარხი); 670 - 1; 670-2 - ცხვარი (№9 სამარხიდან).

**ტაბ. XLIII.** თიხელის სერის ნამოსახლარისა და სამაროვნის პალეობოტანიკური მასალების ნიმუშები: 1 - რბილი ხორბლის მარცვლები; 2 - კილიანმარცვლიანი ქერის მარცვალი; 3 - ფეტვის მარცვალი; 4 - პირწმინდა; 5 - ისლი; 6 - ბეგიაური; 7 - წიფლისძირა; 8 - Cruciferae (ჯვაროსნების ოჯახი); 9 - მატიტელა; 10 - ყანის ჭლექი; 11. ბაღის დიდგულა.

**ტაბ. XLIV.** ცულის ტარის ორგანული ნაშთიდან მოპოვებული ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები. 1-7;

**ტაბ. XLV.** ცულიდან ამოღებული ნიმუშის პალინოლოგიური მასალა: 1-სოჭი (Abies); 2, 3, 4 – ნაძვი (Picea); 5, 6 –ფიჭვი (Pinus), გადიდებულია 600-ჯერ.

**ტაბ. XLVI.** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული პალინოლოგიური მასალა: 1-8 კულტურული ვაზი (Vitis vinifera); 9-კაკალი (Juglans regia); 10-12 ხორბალი (Triticum); 14 ჭვავი (Secale cerealia); 15,16 ქერი (Hordeum).

**ტაბ. XLVII.** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული ტყის ელემენტები: 1-წიფელი (Fagus); 2-მენა (Quercus); 3-მურეანი (Alnus); 4-თხილი (Corylus); 5, 6, 7 – გვიმრა Selaginella helvetica; 7, 8 – გვიმრა Cryptogramma crispa; 9- გვიმრა Dryopteris; 10-გვიმრა (Asplenium); 12, 13 გვიმრა კილამურა (Polypodium vulgare); 14-გვიმრა გველის ენა (Ophioglossum vulgatum); 15, 16, 17 - გვიმრანაირები (Polypodiaceae).

**ტაბ. XLVIII** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული სელის ქსოვილის ბოჭკოები.

**ტაბ. XLIX.** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული სელის წითელი ძაფების ბოჭკოები.

**ტაბ. L.** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული სელის ქსოვილის შაბიამნისფერი და წითელი ძაფების ბოჭკოები.

**ტაბ. LI.** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული მოყავისფრო მატყლის ბოჭკო.

**ტაბ. LII.** თისელის სერზე ჭრილებიდან, სამარხებიდან და კულტურული ფენებიდან მოპოვებული მოყვითალო მატყლის ბოჭკო.

**ტაბ. LIII.** თისელის სერის ნამოსახლარზე და სამაროვნის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი კაჟისა და ობსიდიანის იარაღები, რომელიც შესწავლილ იქნა ტრასოლოგიურად: 133-3 ნამგლის ჩასართი კაჟის (ნაგებობა №1); 193-1; 194; 194-1 ნამგლის ჩასართები კაჟის (ნაგებობა №3); 432-1 ნამგლის ჩასართი კაჟის; 470 - ობსიდიანის ლამელა; 523 - შუბისპირი კაჟის (სამაროვნის კულტურული ფენა); 133-2 ობსიდიანის ლამელა (ნაგებობა №1); 193 - ობსიდიანის ლამელის ფრაგმენტი (ნაგებობა №3); 201 - ობსიდიანის ლამელის ფრაგმენტი (ნამოსახლარის კულტურული ფენა).

## ცხრილი №1

თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული  
არტეფაქტების სტატისტიკური მონაცემები  
მასალის მიხედვით .....გვ. 22

## ცხრილი №2

თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებლი  
არტეფაქტების სტატისტიკური მონაცემები სახეობათა  
მიხედვით .....გვ. 23

## 1.0.შესავალი

კვლევის მიზანია 2004-2005 წლებში მიღსადენის ტრაის KP.202+900 ნიშნულზე გათხრილი ძეგლის - «თისელის სერის ნამოსახლარისა და სამაროვნის» სავალე გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების - ნაგებობების, ცალკეული არტეფაქტების (თიხის ჭურჭელი, ქვის იარაღი, ლითონი, სამკაული), ნიადაგის ნიმუშების პალეობოტანიკური და პალინოლოგიური შესწავლა. კომპლექსური ტექნიკური და მეცნიერული ანგარისშის წარმოდგენა.

პროექტის სპონსორია - BP. მასთან დადგებული კონტრაქტების C-03-BTC-52923-HL-081; C-03-BTC-52923-HL-081; C-03-BTC-52923-HL-146; C-03-BTC, BTS-52923-HL159; C-03-BTS-52923-HL-170, C-03-BTC-5293-HL-171; C-03-BTC-52923-HL-202; C-03-BTC-52923-HL-212; C-03-BTC-52923-HL-226; C-03-BTC-52923-HL-239, C-06 -BTC-11 66 28, C-06-SCP-116630-HL-239 საფუძველზე ოთარ ლორთქიფანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის (ყოფილი არქეოლოგიური კვლევის (ცენტრი) ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის ტაძრისის რაზმი გათხრებს ატარებდა ნამოსახლარისა და სამაროვნის (IV-293, KP. 202+900) იმ ნაწილში, რომელიც მოექცა კორიდორის ფარგლებში. კონტარქტების მოთხოვნების საფუძველზე ტაძრისის რაზმი ძეგლის შეფასებითი სამუშაოებისას ვალდებული იყო სადაზვერვო თხრილების მეშვეობით გაერკვია ძეგლის ხასიათი, მისი გავრცელების საზღვრები და კულტურული ფენის სიმძლავრე. მუშაობის შემდგომი ეტაპი ითვალისწინებდა ძეგლზე მონაცემთა საბოლოო ამოდებასა და კორიდორის განთავისულებას. ნავთობსადენის მიღის მონაკვეთზე გაითხარა 75 მ X 8 მ-ის, ხოლო გაზადენის მხარეს 50 მ X 4 მ ფართობი. ამ ნაწილში მშენებლების მოთხოვნების გამო შესწავლილი იქნა თხის მეტრი სიგანის თხრილი ნაცვლად რვა მეტრისა. სამწუხაროდ გათხრები ადარ გაგრძელდა და ჩვენთვის დაუდგენელი დარჩა კორიდორის ამ მონაკვეთში დაფიქსირებული ნამოსახლარის თანადროული თხრილის გავრცელების საზღვრები და მისი თავდაპირველი დანიშნულება. თხრილი შევსებული იყო კულტურული ფენით და მასში გამართული აღმოჩნდა რვა სამარხი და ერთი ცილინდრული კერა. ყველა ისინი აღრებრინჯაოს ხანით, ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება. სავალე არქეოლოგიური კვლება-ძიება ძეგლზე მიმდინარეობდა 38 დღის განმავლობაში, 2004 წლის ნოემბერში, 2005 წლის ივნისსა და აგვისტოში. შეფასებითი სამუშაოები ჩატარდა დერეფნის გარეთ KP. 201+450-ზე, სადაც უნდა მოწყობილიყო სადრენაჟო თხრილების სისტემა. ჩრდილოეთით გაიჭრა თხის სადაზვერვო თხრილი, სამხრეთით კი თრი. ამ მონაკვეთზე არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურდა და მშენებლებს მიეცათ უფლება დაგეგმილი სამუშაოების წარმოებისა. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ როგორც ინსტიტუტის თანამშრომლები ასევე გარედან მოწვევული სპეციალისტები (იხ. დანართი I. გვ. ).

ძეგლზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება ოთ. ლორთქიფანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში. მისამართი უზნაძის ქ.№14. ტელ. 969 956. კომპლექსური ტექნიკური ანგარიში შედგენილია BP-ის რეკომენდაციებისა და მოთხოვნების მიხედვით. ანგარიში წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით: სათაო ფურცელი; აბსტრაქტი; სარჩევი; ვიზუალური მასალის აღწერილობა; ცხრილების ჩამონათვალი; შესავალი; გარემოპირობები; არქეოლოგიური უბნის აღწერილობა და ადგილმდევბარება; წარსულში არსებული გარემოპირობები; მიწის ფართობის გამოყენების ისტორია; კულტურული ფონი; პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი; აღრე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვა; მეოდოდოლოგია; სავალე და ლაბორატორიული

საქმიანობის მეთოდები; შედეგები - მიმოხილვა; ძეგლები; არტეფაქტები; ინტერპრეტაცია; დასკვნები და რეკომენდაციები; გამოყენებული ლიტერატურა და დანართები.

## 2.0. გარემოს დახასიათება

### 2.1. არქეოლოგიური ძეგლის მდებარეობა და აღწერა

თისელის სერის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი ლოკალიზებულია ბორჯომის ხეობისა და ახალციხის ადმინისტრაციულ რაიონის საზღვარზე. მას ორი რაიონის გამყოფი ქედის "თისელის სერის" დასავლეთი ფერდობის გარკვეული მონაკვეთი უკავია. ძეგლი რთულ რელიეფზე განთავსებული და ის, ზღვის დონიდან 1607 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ნამოსახლარის ტერიტორია ბორჯომის რაიონს ექვთვნის და იგი ამ რაიონის სოფელ ტაძრისის მოსახლეობის სახნავ-საძოვარს წარმოადგენს. ძეგლიდან, დასავლეთით, 250-300 მ-ში, არის წყარო.

გეოლოგიურად ძეგლი ვულკანური წარმოშობის რელიეფზე მდებარეობს. საერთოდ, ბორჯომის ხეობის ტერიტორია აგებულია უმთავრესად ეოცენის ვულკანოგენური წყებებით, ანდეზიტებით, ტუფებით და დანალექი ქანებით. ძეგლის შემოგარენში უმთავრესად გავრცელებულია ტყის ყომრალი და გაეწერებული ყომრალი ნიადაგები (1100-1300 მეტრიდან 1600-1700 მეტრამდე). ქვედა ზონაში ტყის ყავისფერი ნიადაგია. ტყის ზონის ზემოთ განვითარებულია მთა-მდელოს კორდოვანი ნიადაგი. დედაქანამდე სიღრმე 1,0 მ-დე მერყეობს.

ბორჯომის რაიონის პავა გარდამავალია კონტინენტურ სუბტროპიკულიდან ზღვის სუბტროპიკულამდე, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით. კლიმატი ამ რეგიონში ზომიერია. ზამთარი ცივი. ზაფხული გრილი. პაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 6-10 გრადუსია. უცივესი თვის ტემპერატურა 4-6 გრადუსია. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 23-5-25 გრადუსი. წლიური ნალექები 400-600 მმ. (საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, 2000: გვ. 57).

ბორჯომის რაიონი მდიდარია მცენარეულობით. აქ ცნობილია მცენარეობა 1600-ზე მეტი სახეობა. ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის თითქმის 2/3 უჭირავს ტყება და ბუჩქნარს. აქ გაბატონებულია უპირატესად ნაძვნარ-სოჭნარი და ნაძვნარ-წიფლნარი, არის ფიჭვნარიც. ბორჯომის რაიონის ფაუნა მრავალფეროვანია., გვხვდება: ირემი, შველი, ციყვი, კვერნა, მაჩვი, მგელი, მელა, იშვიათად მურა დათვი. მდინარეებში ძირითადად კალმახია გავრცელებლი. გვხვდება აგრეთვე წავიც. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977: გვ. 478-479)

### 2.2. წარსულში არსებული გარემო პირობები

საქართველოს ტერიტორიაზე უშველესი დასახლება დღეს უკვე დაკავშირებულია დამანისის ადგილსამყოფელთან, სადაც ოლდუგაის ეპოქის (1,8 მლნ. წ.) ქვის ინგენტარისა და ფაუნისტურ მასალასთან ერთად პომინიდების ნაშთებიცაა მიკვლეული. ასევეა აღსანიშნავი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი აღრეაშელური ძეგლი - ახალქალაქის ამირანისგორა, რომელსაც ქრონოლოგიურად მოჰყვება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ასობით სხვადასხვა პერიოდის ქვის ხანის ძეგლები (გაბუნია მ., ვეკუა ა. 2005, გვ. 5). სწორედ ამ ძეგლებზე მიკვლეულმა ანთროპოლოგიურმა, პალეონტოლოგიურმა მასალებმა დიდი ოოლი ითამაშა შემდგომში, საქართველოში მეოთხეული პერიოდის, ბუნებრივი გარემოს ფორმირების კვლევის საქმეში - პლეისტოცენიდან ადრე პოლოცენის ჩათვლით.

მინდელის ეპოქის დასაწყისამდე (დაახლოებით 0,6-0,7 მლ. წლის წინ) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე იყო ზომიერად თბილი ჰავა და სავანის ტიპის ლანდშაფტი. ჰავის მკვეთრ გაუარესებას აღილი ჰქონდა მინდელის ეპოქის დასაწყისში. ეს მოვლენა საქართველოს ტერიტორიასაც შეეხო, თუმცა მისი სამხრეთული მდებარეობის გამო აციებას არ ჰქონია დიდი მასშტაბი. ამის შემდეგ იწყება მინდელ-რისის თბილი ეპოქა, რომელსაც დედამიწის ისტორიაში ყველაზე დიდი - რისული გამყინვარება ცვლის. რისის გამყინვარებას ენაცვლება რისი-ვიურმის გამყინვარებათა შორისეული თბილი ეპოქა, რომლის ასაკი 120-70 ათასი წლის წინანდელი დროითაა განსაზღვრული.

დაახლოებით 70 ათასი წლის წინ დაიწყო ძლიერი აციება, რამაც განაპირობა ვიურმული გამყინვარება. ამ გამყინვარებამ დიდი გავლენა მოახდინა ქვის ხანის ადამიანის განსახლებაზე თავისი მკაცრი აცივების გამო ადამიანი სტოვებს საშუალო და მაღალმთიან მხარეებს და მათ მხოლოდ ზაფხულის თბილ სეზონში იყენებს, ძირითად და სანადიროდ. ამ ეპოქაში ადამიანის მუდმივ საცხოვრებლად გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ საქართველოს ბარი.

ძველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანისაკენ გადასვლა მოხდა ზედაპღენისტოცენიდან პოლოცენისაკენ გარდამავალ ეტაპზე (დაახლოებით 12 000-10 000 წლის წინ). ამ დროს მკვეთრად შეიცვალა ჰავა, რაც საგრძნობ დათბობაში გამოიხატა.

მეზოლითში ადამიანი კვლავ დაუბრუნდა მაღალმთიან რაიონებს, რომელიც წინა, ვიურმული გამყინვარების დროს მიატოვა. აქედან მოყოლებული ადამიანი საქართველოს ტერიტორიის ყველა ლანდშაფტზე სარტყელს ითვისებს საცხოვრებლად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამყინვარების მომდევნო ხანაში (პოლოცენში) ბუნებრივ გარემოს არსებითი ცვლილებები არ განუცდია (საქართველოს არქეოლოგია 1991: გვ. 52-69).

ადრეპლეისტოცენიდან პოლოცენის დასაწყისამდე საქართველოს ტერიტორიაზე პალეოეკოლოგიური სურათის რეკონსტრუქცია გარკვეულ დონეზეა შესაძლებელი. პალინოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით დასავლეთ საქართველოს რელიეფი მთა-გორიანი ლანდშაპტით ხასიათდება, რომელიც ძირითადად ტყით იყო წარმოდგენილი (Шатილოვა 1977: გვ. 106-236). ხოლო რაც შეეხება ფაუნას ის ტყიანი ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი სახეობებისაგან შედგებოდა: შველი, ირემი, ფოცხვერი, აფთარი და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს რელიეფი მოცემული პლეისტოცენური ფაუნისა და ფლორის მონაცემებზე დაყრდნობით დრმა ხეობებითა და ველებით დანაწევრებულ საშუალო სიმაღლის მთაგორიანი მასივებით ხასიათდებოდა.

ჰავა იყო ზომიერად მშრლი და თბილი (გაბუნია, ვეკუა, 1997: გვ. 13-15). მცენარეთა ნამარხი ნაშთების საფუძველზე დადგინდა, რომ იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყებში ხარობდა თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მოყვარული ჯიშები - მუხა, ტირიფი, ძელქვა, ვერხვი, არყი, თხილი და სხვ. (გაბუნია, ვეკუა, 1978: გვ. 3-56). ხოლო ნამარხი ძუძუმწოვრების ძვლოვანი მასალის კვლევის შედეგად დადასტურდა ცხოველთა შემდეგი სახეობები: ენოტისებრი ძალი, აფთარი, ფოცხვერი, სმალკბილა ვეფხვი, მაჩვედარბა, მასტადონიტი, გიგანტური დანამა, მარტორქა, სპილო, გაშლილრქიანი ირემი, შველი, რქაგრეხილი ანტილოპა, ურქო ძროხა, ფრინველებიდან სირაქლემა და სხვ. (გაბუნია, ვეკუა 1997: გვ. 10-11).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა პლეიცტოცენში აღგილი ჰქონდა კლიმატის ცვალებადობას. ჰავა უნდა შეცვლილიყო - აშკარად იგრძნობა აცივებისა და ჰავის დანოტივების კვალი. კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესება გამყინვარების გამოძახილი უნდა ყოფილიყო, რომელმაც

როგორც ჩანს, გამოიწვია მხოლოდ ტყის ზოლისა და ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენლის არეალის გადაადგილება, მაგრამ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია და საქართველოს ტერიტორიაზე პალეოკოლოგიური სურათი დიდად აღარ შეცვლილა (გაბუნია, ვეგუა, 2005: გვ. 5).

ამრიგად, ადრე პლეისტოცენიდან დაწყებული ადრე პოლოცენამდე საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატური პირობები მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდიდა, ხდებოდა მხოლოდ პავის მერყეობა მეტ-ნაკლებად აცივებასა, შესაბამისად ტენიანობის ზრდასა და ძირითადად კი - ზომიერად თბილ, შედარებით ცხელ არიდულს შორის (გაბუნია, ვეგუა, 2005: გვ. 9).

### 2. 3. მიწის გამოყენების ისტორია.

საკვლევი ტერიტორია, რომელზედაც განვითილია თისელის სერის მტკვარ-არაქსული ხანის ნამოსახლარი, წარმოადგენს თანამედროვე სოფელ ტაძრისის კუთვნილ სახნავ-სათეს და საძოვარ ფართობს. ამჟამად მისი სასოფლო-სამეურნეო მიზნით დამუშავება არ ხდება. შესაბამისად, ამგვარი სამუშაოების ჩატარებისაგან ძეგლი არ ზიანდება და არც ადრე დაზიანებულა.

ამ ნამოსახლარის გამოვლენა მოხდა მილსადენთან დაკავშირებული მშენებლობის პროცესში, რადგან ნამოსახლარის პერიფერიული მონაკვეთი მილსადენის კორიდორის ზონაში მოხვდა. მიწის სამუშაოებისას ფაქტიურად განადგურდა ძეგლის აღნიშნული მონაკვეთი.

## 3.0 კულტურული ფონი

### 3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

#### ქვედა პალეოლითი (დაახლოებით 2,000,000 – 100,000 წლის წინ)

ამ პერიოდში გაჩნდა აგებულების მხრივ თანამედროვე ადამიანი. გვარის Homo (Homo erectus) პირველი წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მცირე ჯგუფებად და იკვებებოდნენ საცხოვრებლის გარშემო არსებული ბუნებრივი რესურსებით.

ამ პერიოდის ნაშთები ყველგან იშვიათია. მათი დათარიღება ხდება სხვადასხვა ტექნიკური მეთოდით, მათ შორის არქეომაგნიტური კვლევით და კალიუმ-არგონის მეთოდით, თუ მოცემული ნაშთები ვულკანურ დანალექშია. დმანისის ობიექტი (თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მოიცავს პლიოცენის ფაუნის ნაშთებს და პირველად 1980 წელს იქნა მიკვლეული და დათარიღებული ქართველი სპეციალისტების მიერ. 1991 წელს, შემდეგ კი 2001 წელს, მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა ამ ობიექტზე გამოავლინა Homo erectus-ის ნაშთები. დმანისის ობიექტი, ისრაელში არსებული იორდანეს ველის უბდაისას ობიექტთან ერთად, გვიჩვენებს ძველი პომინიდების აფრიკის გარეთ მიგრაციის გზას. დღეს არსებული ცნობების თანახმად, დმანისში აღმოჩენილი Homo erectus-ის ნაშთები უძველესია აფრიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილთა შორის, სავარაუდოდ უფრო ძველი, ვიდრე სანგარიაში, იავაზე და ჩოუკოუდიანში (ჩინეთი) აღმოჩენილი ნაშთები.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს 16 უბანი, სადაც აღნიშნული პერიოდით ან უფრო გვიანდელი დროით დათარიღებული აშელური ტიპის ქვის იარაღების კომპლექსია აღმოჩენილი. აქედან ორი უბანი მდგბარეობს ქვეუნის სამხრეთ ნაწილში მილსადენის დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე. პროექტის უშეალო სიახლოეს არ არის ამ პერიოდის ობიექტები. დმანისის ობიექტიც საკმაოდ დაცილებულია პროექტის ტერიტორიას (40 კმ-დე წალკის სამხრეთით).

### **შუა პალეოლითი (100,000 – 35,000 წლის წინ)**

ეს პერიოდი ემთხვევა უძველესი Homo sapiens-ის, ნეანდერტალელი ადამიანის წარმოშობას. ევროპაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ადამიანის ისტორიის ამ პერიოდის გვიანი ნაწილი გამოირჩევა ე. წ. მუსტიეს ქვის იარაღების კულტურით, რომელიც აშელურისაგან განსხვავდით, უფრო უკეთ დამუშავებული და უფრო მრავალფეროვანი ფორმის იარაღებითაა წარმოდგენილი. ისევე როგორც ჩრდილოეთ ევროპამ, საქართველომაც ამ პერიოდის ძირითადი დრო გლაციურ და პერი-გლაციურ გარემოში გაატარა. საქართველოში მუსტიეს ქვის იარაღების 75-ზე მეტი ადგილსამყოფელია ცნობილი. ამათგან შვიდი ნაპოვნია სამხრეთ და ცენტრალურ საქართველოში, პროექტის სივრცის ძირითად რაიონში.

### **ზედა პალეოლითი (35,000 წლის წინ – 12,000 წვ.წ.აღ-მდე)**

ზედა პალეოლითი შეესაბამება გვიან პლეიისტოცენურ პერიოდს. ამ დროს ხდება საქართველოში, ევროპაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში აგებულების მხრივ თანამედროვე ადამიანის გამოჩენა. ამ პერიოდის ქვის იარაღების დამზადების ტექნოლოგია მკვეთრად უმჯობესდება. ზოგიერთი არქეოლოგის ვარაუდით სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ქვის იარაღების სტილისტური განსხვავებულობა მიუთითებს ამ პერიოდში კულტურულად განსხვავებული ჯგუფების არსებობაზე.

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ იმ პერიოდში ჩამოუყალიბდა ადამიანს მეტყველების უნარი. ზედა პალეოლითის ადამიანები საქართველოში დაკავებული უნდა ყოფილიყვნებს ჯგუფური ნადირობით. ისინი ხოცავდნენ: იორმს, ბიზონს, გარეულ ცხენს, გარეულ თხას, დათვს, გამოქვაბულის ლომს, რომელთა ნაშთები დიდი რაოდენობით არის ნანახი ზედა პალეოლითის ძეგლებზე. ადამიანი სახლობდა ბუნებრივ გამოქვაბულებში, კლდეების ღრმულებში, მოსანადირებელი ცხოველების სასიარულო ბილიკების მახლობლად.

საქართველოში აღმოჩენილი სულ ცოტა 33 მნიშვნელოვანი ზედა პალეოლიტური ობიექტიდან სამი სამხრეთ საქართველოშია. არცერთი მათგანი არ არის მიღსაღენის დერეფანში ან მის მახლობლად.

### **მეზოლითი (12,000 – 8,000 წვ.წ.აღ-მდე)**

მეზოლითის პერიოდის დასაწყისი განისაზღვრება პლეიისტოცენის ეპოქის დასასრულითა და პოლოცენის დასაწყისით. განვლილმა ვიურმის გლაციაციამ შექმნა უფრო ზომიერი კლიმატი, რის გამოც გაჩნდა შედარებით დიდი სივრცეების ათვისების საშუალება. ნადირობა ცხოვრების ძირითად წყაროდ რჩებოდა, მაგრამ ადამიანმა დაიწყო უფრო მრავალფეროვანი მსხვერპლის ძიება. ნადირობდნენ როგორც ჯოგურად, ისე განცალკევებით მცხოვრებ სხვადასხვა ზომის ცხოველებზე.

როგორც ჩანს, ნადირობის ტექნიკა ნაკლებ ინდივიდუალური ჰქონდათ. ველური ცხოველებიდან ნადირობდნენ: იორმებზე, ცხენებზე, ცხვრებზე. სეზონური მცენარეული პროდუქტების სისტემატური მოპოვება ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ადამიანი გადავიდა გამოქვაბულის სივრციდან დია სივრცეების დაკავებაზე. ეს ერთნაირად ხდებოდა საქართველოში, მთელს ევროპაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ამ პერიოდის განსაკუთრებული თავისებურებაა იარაღის მასალის და იარაღის ნაირსახეობების მკვეთრი გამრავალფეროვნება. მიკროლითები (კაჟის და ობსიდიანის საჭრელები) და გაპრიალებული სამტვრევი ქვები, რომლებიც მცენარეების დასამუშავებლად გამოიყენებოდა, ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენაა. ქვის საწაფები და პარკუნები მიუთითებს ოეზტერის პოპულარობაზე. ზედა პალეოლითის საზოგადოებიდან მეზოლითის საზოგადოებაზე გადასვლა მარტივად განიხილება როგორც ჰოლოცენის

ზომიერი გარემოთი განპირობებულ მრავალფეროვან და უფრო ხელმისაწვდომ რესურსებთან შეგუების პროცესი. საქართველოში მეზოლითის მხოლოდ 12 მნიშვნელოვანი ობიექტია ცნობილი. აქედან არცერთი არ არის მიღსადენის დერეფნის სიახლოვეს.

### **ნეოლითური პერიოდი (8,000 – 3,500 წ.წ.აღ-მდე)**

ნეოლითური პერიოდის დასაწყისი ცნობილია როგორც რევოლუციური, რამდენადაც ამ დროს მოხდა მკვეთრი ძვრები ადამიანის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადამიანმა დაიწყო ნადირობიდან და შემგროვებლობიდან ცხოველების და მცენარეების მოშენებაზე გადასვლა და ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ამავდროულად დაიწყო მეთუნეობა, დაგროვებული მცენარეული საკვების შესანახად და მოსამზადებლად. ფართოდ დაინერგა ისეთი ქვის იარაღის კეთება, როგორიცაა ხელცული, წალდი, ნამგლის ჩასართები, სასრეს-საფქვავები და თოხი, რომლებიც მიწის გასასუფთავებლად და გასაფხვიერებლად იხმარებოდა. სადგომისა და საკვების შესანახი ნაგებობების შენება მნიშვნელოვანი წარმატებით მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ცხოვრების ნეოლითური წესი ყველგან ერთბაშად და დასრულებული სახით შემოვიდა, რადგანაც არსად ჩანს სოფლის მეურნეობაზე თანდაოანობით გადასვლის ნიშნები.

პალეოლითის და მეზოლითის პერიოდებისგან განსხვავებით, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ძირითად ნაშთებს ქმნიან ქართულ ნეოლითურ არქეოლოგიურ კომპლექსებში, რაც საკვების დამზადების და შენახვის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს. საქართველოს ნეოლითური მეთუნეობის ფორმებისათვის დამახასიათებელია ბრტყელძირა მრგვალი უქურო ქოთნები და თასები. აპლიკაცია ან ამოკვეთილი ორნამენტი დასაწყისიდანვე ახასიათებს საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ ნეოლით-ენეოლითური სანის თიხის ჭურჭელს.. პირველი ნეოლითური სახლები საქართველოს ტერიტორიაზე შედგებოდა ერთმანეთში გამავალი ალიზით ნაგები ოთახებისაგან და საგარაუდოდ გამაგრებული იყო ხის ძელებით. ამგარი სახლები გადახურული ყოფილა ხის ტოტებით და შლამით. ოთახები მრგვალი ან ელიფსურია. ოთახები სხვადასხვა დანიშნულებისა და სხვადასხვა ზომების იყო. დიდ ოთახებში (2,5X5 მ) ჩაშენებული იყო დუმელი და როგორც ჩანს, მათ საძინებლად და თავყრილობისათვის იყენებდნენ. საშუალო ზომის ოთახებში (1,25X2 მ) სავარაუდოდ ხელსაქმობდნენ. ხოლო პატარა ოთახები (0,5X0,75 მ) საკუჭნაო უნდა ყოფილიყო. დასახლების ორგანიზაციის მაგალითია იმირის გორის ნასახლარი ქვემო ქართლის რეგიონში. საქართველოში დაახლოებით 60 ნეოლითური ძეგლია ცნობილი. უმრავლესობა დასავლეთ საქართველოშია, თუმცა მათი კონცენტრაცია ფიქსირდება ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც. გვიანი ნეოლითის (ენეოლითის) ერთი ძეგლი მდებარეობს პროექტის გაყოლებაზე ახალციხის რ-ნში.

ძ. წ. VI-V ათასწლეულებში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების კულტურა. დადასტურებულია სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის, ქერის, ფეტვის, შერის, აგრეთვე პარკოსნების (მუხუდო, ოსპი), ნესვის, მეურნას და სხვ. ნაშთები. აღმოჩენილი ფურნის წიპრები კი მიჩნეულია კულტურულ გაზიერების გარდამავალ ფორმად. დადასტურებულია მარტივი საირიგაციო სისტემის გამოყენებაც.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსაღენის 202+900 კმ. ნიშნულზე არსებული ძეგლის ირგვლივ, ერთი კმ-ის რადიუსში ნეოლით-ენეოლითური ძეგლები ჯერჯერობით არ ჩანს.

### **ბრინჯაოს ხანა (3,500 – 800 ძ.წ.აღ-მდე)**

ბრინჯაოს ხანა იყოფა: ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებად. ადრე ბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

გავრცელებულია ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელმაც სახელწოდება პირველი აღმოჩენის ადგილის მიხედვით მიიღო. ხასიათდება: ალიზის, ქვის, ან თიხალესილი სარ-ლასტის ნაგებობებით, მაღალგანვითარებული სამეთუნეო, მეტალურგიული საქმიანობით და ამავე დროს განვითარებული მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ბორჯომის ხეობაში ამ ხანის ძეგლები ნაკლებადაა გამოვლენილი. მტკვარ-არაქსის კულტურის მასალები აღმოჩნდა საკოჭავის მრავალფენიან ნასახლარსა (დამბაშიძე, ტატიშვილი 1982: გვ. 63-73) და მზეთამზის სამარვანზე (Насидзе 1986: გვ. 446).

მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის აღრეყორდანული კულტურა, რომელიც ისევე როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა მიმდებარე რეგიონების ტერიტორიაზეც ვრცელდება. აღრეყორდანული კულტურის ორი ეტაპი გამოიყოფა: მარტყოფული და ბედენური.

შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია ე.წ. თრიალეთის კულტურა (2500-1500 წწ). ეს კულტურა ხასიათდება დიდი ზომის ყორდანული სამარხების არსებობით, ბრწყინვალე სამეთუნეო და ბრინჯაოს მეტალურგიით, საიუველირო ხელოვნებით. სადღეისოდ თრიალეთის კულტურა შესწავლილია მხოლოდ სამარხეული კომპლექსების მეშვეობით. ჯერ-ჯერობით უცნობია ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების ნამოსახლარები.

ბორჯომის რაიონი და მიმდებარე სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განსაკუთრებით ინტენსურად სახლდება და კულტურულად წინაურდება შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპიდან დაწყებული (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები) და შემდგომ ეს პროცესი გრძელდება გვიანბრინჯაოს ხანაშიც.

ბორჯომის რაიონისა და ზოგადად ამ რეგიონის აღნიშნული პერიოდის ძეგლების კვლევის ისტორიაზე ცოტა დაწერილი შექმნებით.

არქეოლოგიური ძეგლების კვლევას ბორჯომის ხეობაში საფუძველი ეყრდნობა ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან, როცა 1912 წ. ე-თაფაიშვილმა სოფ. რველში გათხარა ყობანური პერიოდის სამარხები და იგი 3500 წლით განისაზღვრა. (Такаишвили 1912)

გვიან ბრინჯაოს ხანის საკვლევ რეგიონში აღმოჩენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია: სოფ. რველში (ბანისხევში) შემთხვევით აღმოჩენილი კულტურული ფენა (Известия Археологической Комиссии 1911); სოფ. წაღვერში გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის მელითონეობის სახელოსნოს ნაშთი; აქვა-სოფ. წაღვერში, გათხრილი ამავე პერიოდის რამდენიმე სამარხი; გუჯარეთის ხეობაში პროფ. გოროდცოვის მიერ გათხრილი სპილენძ-ბრინჯაოს გადამამუშავებელი სახელოსნოს ნაშთები და მისთვის დამახასიათებელი თანმხლები მასალა; სოფ. თელოვანში შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ინგენტარი (კოლხური ცულები, აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულები, ლითონის ყალიბები, ზოდები და სხვ), რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის ღირებულ ფაქტად არის მიჩნეული (დამბაშიძე 1967); სოფ. გომნაში გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების დროს 1940 წ. გამოვლენილი სამაროვანი (ნიორაძე 1943: გვ. 173). ამ არასისტემატური ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული ძეგლები საგრძნობლად გამდიდრდა 50-იანი წლებიდან დაწყებული გეგმაზომიერი და ფართოდ წარმოებული გათხრების შედეგად. ამ რეგიონში 80-იან წლებში გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის სამარხეული ძეგლები ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981) 1966 წლიდან ო. დამბაშიძის ხელმძღვანელობით მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა გვიან ბრინჯაო-ადრეოკინის ხანის ძეგლები რველში, ჩითახევში, კვირაცხოველში, ბორნიდელეში, ბერბუკებსა და მაჭარწყალში; ზველისა და ოქროყანა-ახშიის

შეა ბრინჯაოს ხანის ყორდანები. (Гамбашиде, Квикинадзе 1979: გვ. 55-60; 1981: გვ. 57-64; 1985: გვ. 31-36)

განსაკუთრებული ღირებულებისა აღმოჩნდა 50-იან წლებში აღმოჩენილი უდის განძი ადიგენის რ-ნში, რომელიც ტიპიური კოლეური კულტურის ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-საჭურველს და სხვა ნივთებს შეიცავდა. (ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი: 1959) მესხეთ-ჯავახეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლებით დაინტერესება განსაკუთრებით გაძლიერდა ბ. კუფტინის მიერ 30-იანი წლების მეორე ნახევარში ჩატარებული გათხრების შემდეგ ფარავნისა და ტაბაწყურის ტბების მახლობლად. (Жоржикашвили, Гогадзе 1974: გვ. 26-27).

**მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლებითან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტ. ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით ახალციხესთან გათხრილი ნამოსახლარი და სამაროვანი, რომელიც ამირანის გორის სახელთიაა ცნობილი. (ჩუბინიშვილი 1963)**

მესხეთ-ჯავახეთში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ადრე ბრინჯაოს ხანაში ეს მხარე ერთნაირი ინტენსივობით არ არის ათვისებული. ამ პერიოდის ძეგლები ძალზე ნაკლებია ბორჯომის და ადიგენის რაიონში. ზოგი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ მტკვარ-არაქსული ტომები უფრო ნაკლებად ტყიან, უმთავრესად კი კონტინენტური კლიმატის ზონას ირჩევდა საცხოვრებლად. (ჯაფარიძე 1976) ბორჯომის რ-ნში კოდინის მთაზე, ბაკურიან-ციხისჯვრიდან საკირე-ტაძრისის გადმოსასვლელ ქედზე ნავთობსადენის კორიდორში (KP 193) 2004 წ. ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გაითხარა ადრეულორდანული კულტურის მარტყოფული ეტაპის - ყორდანი. ეს პერიოდი კი ქრონოლოგიურად უშუალოდ ებძის მტკვარ-არაქსის ფინალურ ხანას (Квавадзе და სხვ 2004: გვ. 442 )

მტკვარ-არაქსული კულტურის ნასახლარი გაითხარა ნინოწმინდის რ-ნის სოფ. სათხეში. (Isaac და სხვ. 1994) აქე იქნა გათხრილი ყორდანი რომლის სამარხეული ინგენტარი ანალოგიურია მტკვარ-არაქსული პერიოდის ქვაცხელას სამარხისა. ამდენად, იგი რეგიონში გამოვლენილი ყველაზე ადრეული ყორდანი უნდა იყოს.

მტკვარ-არაქსელთა ცხოვრების წესი აშკარაა, რომ დამჯდარი, ბინადრული უნდა ყოფილიყო. მეურნეობის მთავარი დარგი კი მიწათმოქმედებაა და სწორედ აქედან გამომდინარეობდა მათი ცხოვრების ნაკლებად მობილური სტილი. ისინი მიჯაჭულნი იყვნენ თავიანთ მეურნეობას და, როგორც წესი, საცხოვრებლად ირჩევდნენ წყლის რესურსებით მდიდარ ადგილებს. მიწათმოქმედებასთან ერთად, ადრე ბრინჯაოს ხანის აღნიშნული კულტურის მოსახლეობა, ეწერდა მესაქონლეობასაც, რასაც კარგად ადასტურებს სამოსახლოებზე მიკვლეული ოსტეოლოგიური ნაშთები. თისელის სერის ნამოსახლარზე დადასტურებული მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალები (ხელსაფქვავის ქვები, ნამგლის ჩასართები, სანაყი ქვები და ა. შ.) კიდევ ერთხელ დადასტურებს ამ ხანაში სამიწათმოქმედო მეურნეობის მასშტაბურ ხასიათსა და მიუთითებს მტკვარ-არაქსული ტომების განვითარებული მიწათმოქმედების არსებობაზე.

მტკვარ არაქსის კულტურა ადრე ბრინჯაოს ხანის ყველაზე მდლავრი კულტურული ერთობაა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არამედ მახლობელ აღმოსავლეთშიც. იგი საკმაოდ ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონში არსებობს და ტერიტორიულადაც ყველაზე ფართო არეალში ლოკალიზდება ბრინჯაოს ხანის ყველა სხვა კულტურებთან შედარებით. შესაბამისად, იმ პრობლემათა რიცხვი, რომლებიც თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა არაეთრია. მათგან ყველაზე არსებითად მიგვაჩნია შემდეგი:

1. მტკვარ-არაქსის კულტურის წარმოშობის, მისი გენეზისის და წინამორბედი საფეხურის კულტურიდან მომდინარეობის გარკვევა. ეს პრობლემა დღემდე გაუკვევლია და საკამათოდ რჩება კავკასიის არქოლოგიაში.
2. როგორც აღვნიშნეთ, ბორჯომის რეგიონში გამოვლენილი და სისტემატური ხასიათის გათხრებით შესწავლილი მტკვარ-არაქსული კომპლექსები იშვიათობაა. ეს მაშინ, როცა სამხრეთ კავკასია აღნიშნული კულტურის ხანაში განსაკუთრებული დემოგრაფიული აფეთქებით გამოირჩევა. ტერიტორიულად უახლოესი ახალციხისა და შიდა ქართლის ზოლი მრავალფენიანი და მძლავრი სამოსახლო ცენტრების არსებობით ხასიათდება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ბორჯომის რაიონში მათი იშვიათობა შეიძლება უფრო იმით აიხსნას, რომ ისინი დღემდე მიუკვლეველია და არა მათი აქ არ არსებობით. ეს კარგად დადასტურა მილსადენის დერეფანში აღმოჩენილმა თისელის სერის მტკვარ-არაქსულმა ძეგლმაც, რომელიც მძლავრი სამოსახლო უნდა ყოფილყო. ამდენად, ბორჯომის რაიონში ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლების ფიქსაცია და შესწავლა დაგვეხმარება ამ კულტურის ლოკალიზაციის საკითხის დაზუსტებასა და საკვლევ რეგიონში მტკვარ-არაქსული კულტურული ერთობის გავრცელების დადგენაში. მტკვარ-არაქსის კულტურის რადიაციის საკითხი კიდევ ერთი კუთხითაც იქცევს ყურადღებას. ეს არის მისი სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით გავლენის გავრცელების პრობლემა, რომელიც დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში ექცევა (ისტორიული ტაო-კლარჯეთი). ანატოლიის აღმოსავლეთ რაიონში ბოლო ათწლეულის მანძილზე გათხრილი მტკვარ-არაქსული კერამიკის შემცველი ძეგლები თუ შემთხვევითი აღმოჩენები ნათლად ადასტურებენ საკვლევი კულტურის რადიაციის საზღვრის სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით გადაწევის აუცილებლობას (ჯაფარიძე 1976). ამასთან მიმართებაში დიდ მნიშვნელობას იძენს მომდევნო, აღრეულოდანების კულტურის ძეგლების აღმოჩენების გახშირებული შემთხვევები ანატოლიის აღნიშნულ რეგიონში.
3. ადრე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ საკანძო პრობლემად უნდა ჩაითვალოს მტკვარ-არაქსის კულტურის ფინანის და მისი ადრეულოდანების კულტურასთან მიმართების საკითხი. გარკვევას საჭიროებს ის ფაქტი იყო თუ არა მტკვარ-არაქსის კულტურული გარემო ის საფუძველი, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღრეულოდანების კულტურა. როგორ და რა მიზეზებით ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის დაკნინება და შეცვლა სამხრეთ კავკასიაში.

#### **გვიანდრინჯაოს ხანა (ძვ.წ. 1500-800 წწ.).**

საქართველოს ტერიტორიაზე გვიანდრინჯაოს ხანაში ყალიბდება ორი განსხვავებული კულტურული წრე. დასავლეთ საქართველოში - კოლხური კულტურა, აღმოსავლეთ საქართველოში კი სამთავრული და ქ. წ. III ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურები. კოლხური კულტურა რკინის ხანაშიც განაგრძობდა არსებობას და სწორედ ამ ხანიდან შეინიშნება სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ ურთიერთობები ეგეოსურ სამყაროსთან. აღმოსავლურ გვიან-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურებში შეინიშნება უფრო წინააზიურ სამყაროსთან არსებული კავშირები.

#### **რკინის ხანა. (ძვ. წ. 800-600 წწ.).**

რკინის მეტალურგიაზე გადასვლა იწყება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. ამ პერიოდიდან იწყება რკინის ხანის ათვლაც. ბრინჯაოს დამუშავებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია საზოგადოების ცხოვრებაში, მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში. საქართველოში ამ ხანის მრავალი ძეგლია გამოვლინილი, მათ შორის ზოგიერთი ბორჯომის რაიონშიცაა მიკვლეული, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

### **ანტკური ხანა. მოიცავს გვ. წ. VI-ას. წ. IV საუკუნეებს.**

ძველი ბერძენი ავტორების თხზულებებში მრავალი საინტერესო ცნობაა შემონახული, საქართველოსა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის შესახებ. საბერძნეთთან უწყვეტი კონტაქტი მყარდებოდა შავი ზღვის სავაჭრო გზით. ბერძნები მოგვიანებით რომაელებმა შეცვალეს. რომაელმა სარდალმა პომპეუსმა მითრიდატე ევპატორის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დროს საქართველოშიც იღებული ადგინდება. გვ. წ. 65 წ. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იძლევა განსაკუთრებით საყურადღებო წრილობით ცნობებს ამ პერიოდის საქართველოს შესახებ. საქართველოს ორივე ნაწილში ამ პერიოდის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლია გამოვლენილი. მიღების დერეფანში ამ ხანის ძეგლები იშვიათია.

### **შუასაუკუნეების პერიოდი (ჩვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარი XIX საუკუნე).**

მეოთხე საუკუნის დასაწყისში კაპადოკიიდან საქართველოში შემოდის წმინდა ნინო და იწყებს ქრისტიანობის ქადაგებას. მეფე მირიანი იღებს ქრისტიანობას (337 წ.). ქართული დამწერლობის პირველი შემორჩენილი ნიმუში - ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა მეხუთე საუკუნით თარიღდება; კერპთაყვანისმცემელთა და მუსულმანთა მრავალი შემოსევების მიუხედავად, საქართველო ქრისტიანულ ქვეყნად დარჩა.

VII საუკუნეში არაბები იჭრებიან საქართველოში. XI საუკუნეში გამოჩდნენ თურქ-სელჩუკები. XIII საუკუნეში მონღოლები, რომელებიც შემდგომ ოსმალებმა შეცვალეს. პერიოდულად საქართველოს თავს ესხმოდა სპარსეთი, ჩრდილოკავკასიელი ტომები, რამაც საბოლოო ჯამში ქვეყნის დანაწევრება და დაკინება გამოიწვია. ამით ისარგებლა რუსეთმა და საქართველო 1801 წლიდან თავისი იმპერიის ფარგლებში მოაქცია, რაც ქართველი ხალხის სურვილის გარეშე მოხდა.

### **თანამედროვე პერიოდი.**

1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა, თუმცა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ კვლავ დაპყრობილი იქნა. საბჭოთა დიქტატურა XX საუკუნის 90-იან წლებმა და გაგრძელდა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ კვლავ აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს რესპუბლიკა გახდა მსოფლიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. ინტეგრირებულია ევროპულ სტრუქტურებში. საქართველოს მოსახლეობა ცდილობს ააშენოს დემოკრატიულ დირებულებებზე დაფუძნებული ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო.

### **3. წინა პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური ძეგლების მოკლე მიმოხილვა.**

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის სამხრეთის მიმართულების ნავთობსადენის ტრასის KP. 202+900-ზე აღმოჩენილი თისელის სერის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის სიახლოებების მისგან ჩრდილოეთით, 100 მეტრის დაშორებით, არქეოლოგების მიერ დაფიქსირებული იქნა ყორდანული სამარხი. ამ ძეგლის არსებობის გამო ნავთობსადენის ტრასის კორექტირება მოხდა და ის გადაიწია სამხრეთით. რამაც გამოიწვია ნამოსახლარისა და სამაროვნის გამოვლენა და დაზიანებაც. სხვა არქეოლოგიური ძეგლები ერთი კილომეტრის რადიუსში ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის.

## **4.0. საველე და ლაბორატორიული ძელება**

### **4.1. საველე მეთოდები**

თისელის სერის ნამოსახლარისა და სამაროვნის შესასწავლი ფართობი ნავთობსადენის მონაკვეთზე შეადგენდა 75 მ. სიგრძისა და 8 მ. სიგანის ფართობს. ამ უბნის დასავლეთ ნაწილში ტექნიკის მიერ გაშიშვლებული იყო

კულტურული ფენები და თხრილების გაჭრა აქ საჭიროებას ადარ წარმოადგენდა. სხვადასხვა ზომის ცხრა თხრილი გავლებული იქნა აღმდსავლეთით კულტურული ფენების გავრცელების დაღგენის მიზნით. თხრილები დამხრობილი იყო ჩრდილო-სამხეროის ხაზზე. ნათობსადენის მხარეზე კულტურული ფენა კრცელდებოდა მხოლოდ 50 მX8 მ ფართობზე. საბოლოო ჯამში თხრილებიანად შესწავლილი იქნა 600 მ<sup>2</sup> ფართობი, სადაც აღმოჩნდა სამი შენობის მცირე ფრაგმენტი და ორი სამარხი. გაზესავლის მხარეზე შეფასებითი სამუშაოები მოიცავდა 50 მX8 მ-იან ზოლს. ამ ნაწილში გაიჭრა ათი თხრილი. თხრილები გაიგლო სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. კულტურული ფენები გამოვლინდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმულ 21 მ. სიგრძის ფართობზე. გაზის მონაკვეთზე გაითხარა 21 მX4,5 მ-ის ზომის ფართობი. შესასწავლ ტერიტორიაზე აღმოჩნდა რვა სამარხი და ერთიც ცილინდრული კერა. გათხრების დაწყებამდე საზომი ლენტით გაიზომა შესასწავლი ფართობი, მოხდა მისი აგეგმვა. კორიდორის მთლიან ფართობზე ჩრდილო-სამხრეთ დერბზე, რომელიც ნულოვანი დერმით გაიყო ორ აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად, გაკეთდა 4 მX4 მ-ზე კვადრატთა ბაღე ძეგლის კულტურული ფენების პორიზონტალური და ვერტიკალური გავრცელების დაღგენის მიზნით კეთდებოდა თხრილები. თხრილების დაყვანა ხდებოდა დედაქანამდე ანუ სტერილურ ფენამდე. ველზე სამუშაოები იწარმოებოდა ხელის იარაღებით (ნიჩაბი, ბარი, წერაქვი). გამოვლენილი კულტურული ფენებისა და არქეოლოგიური ობიექტების პრეპარაცია მიმდინარეობდა, დანების, ლანცეტებისა და ფუნჯების გამოყენებით. რუკაზე ძეგლი დატანილია მცირე ზომის წრიული ლაქით.

გათხრების მანძილზე ყოველდღიურად მიმდინარეობდა ნახაზებისა და გეგმების შედგენა. საველე დღიურებს აწარმოებდა ექსპედიციის ხელმძღვანელი და ყველა არქეოლოგი. ყოველდღიურად ხდებოდა მიმდინარე სამუშაოებისა და გაწმენდილი ფართობის ფოტო ფიქსაცია. სხვადასხვა სახის არქეოლოგიური ობიექტების (ნეგებობები, სამარხები) დანომვრა ხდებოდა ცალ-ცალკე გამჭოლი ნუმერაციით.

ნამოსახლარის სხვადსხვა უბნებიდან შეგროვდა მიწის ნიმუშები. მასალის აღება ხდებოდა სპეციალური საველე იარაღების: ლანცეტების, დანის, პინცეტის მეშვეობით, ისე რომ ნიადაგთან ხელით შეხება არ ხდებოდა. იგი იდებოდა ჰერმეტულად დაცული ცელოფანის ელვიან პარკეტში. ცალკე პარკში იდებოდა თანმხლები ეტიკეტი, მასზე ყველა აუცილებელი მონაცემის აღნიშვნით.

მასალა იკრიბებოდა კვადრატებისა და მასში გამოვლენილი ნაგებობის ნაშთის, კედლის თუ სხვა მნიშვნელოვანი აღგილის მიხედვით.

#### **4.2. ლაბორატორიული მეთოდები**

ლაბორატორიული სამუშაოებისას მთლიანად გაიშალა მასალა. ჭურჭელი გაირეცხა თბილ წყალში. გაშრობის შემდეგ დაეწერა ნომრები, შიდა მხრიდან (მაგ. IV-293, 15/50. IV-293 44/166) ნომრები ეწერებოდა წყალგამდევ მარკერით. მოხდა მასალის აღწერა და დავთარში გატარება. გამოიცვალა ეტიკეტები. თიხის ჭურჭელს ჩაუტარდა რესტავრაცია-კონსერვაცია. სახიერი მასალა ჩაიხატა და მოხდა ფოტო ფიქსაცია. გაკეთდა არტეფაქტების, საველე ნახაზების, საველე ფოტოების, ნიადაგის სინჯების ნუსხები BP-ს მოთხოვნების შესაბამისად. გადარჩეული მასალები ეტიკეტთან ერთად მოთავსდა მუჟაოს ყუთებში და გარედან დაეწერა ნომრები. არტეფაქტები დაიყო შემდეგ ჯგუფებად: კერამიკა, ქვა, ლითონი, პასტა (მინა) და ძვალი. თითოეულ ჯგუფში ფუნქციონალური და სახეობათა მიხედვით მოხდა ქვეჯგუფების გამოყოფა.

თიხის ჭურჭელი სახეობებისა და დანიშნულების მიხედვით დაიყო შემდეგნაირად: სამეურნეო (დერგები), სამზარეულო (ქოთნები, ქილები, ტაფები, ხუფები) და სუფრის (ფიალები, სამარილები, ბადიები, ჯამები). ცალკე დაჯგუფდა სადგრები, კერები და ცხოველის ფიგურები და მათი ფრაგმენტები. თიხის ჭურჭელი ძირითადად სადაა. ორნამენტიანი კერამიკა სულ 14 ცალია ნაპოვნი. ორნამენტი ამოკაწრული ან რელიეფურია. თიხის ჭურჭელი ნაძერწია ხელით. ქვის იარღები მასალისა და ფუნქციის მიხედვით შემდეგნაირად დაჯგუფდა: ნამგლის ჩასართები და კაჟის შუბისპირი. ობსიდიანის ლამელები, ბაზალტისა და ქვიშაქვის ხელსაყქვავები. ბრინჯაოს ცული გაიწმინდა მექანიკურად და ჩაუტარდა კონსერვაცია. ძეგლზე მოპოვებული მასალა ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება, მასში ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა ვერ მოხერხდა. ნიადაგის ნიმუშები, ანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, ლითონისა და ქვის მასალები შეისწავლეს შესაბამისმა სპეციალისტებმა და მათი შედეგები ანგარიშს თან ერთვის. ძეგლზე აღმოჩენილი მასალა და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგები ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიების სახით ინახება ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტში. თბილისი, უზნაძის ქ. №14. ტ. 95 46 33

## 5.0 შედეგები

### 5. 1. ძირითადი მონაცემების მოკლე მიმოხილვა

ბაქო-თბილისი ჯეიპანის ნავთობსადნის ტრასის ბორჯომის მონაკვეთზე არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ორ პუნქტზე: თისელის სერჩე KP.202+900-სა (ტაბ. I) და სოფ. ტაძრისთან KP.201+450-ზე.

KP. 201+450-ზე ჩატარდა კორიდორის გარეთ არსებული ფართობის შეფასებითი სამუშაოები, რომელიც სოფ. ტაძრისის სამხრეთ-დასავლეთით, მისგან ერთი კმ-ის დაშორებით აღგილ რიყიანებში მდებარეობდა.

დერეფნის გარეთ, ორივე მხარეზე, გაიჭრა სხვადასხვა ზომის ექვსი თხრილი: №1 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 0,6 მ.; №2 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 0,8 მ.; №3 - 4,0 მ. X 2,0 მ. X 0,5 მ.; №4 - 4,0 მ. X 2,5 მ. X 0,5 მ.; №5 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 1,0 მ.; №6 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 0,8 მ. (ტაბ. II, III)

ჩატარებული სამუშაოების შედეგად საკლევ ფართობზე ძეგლები არ დადასტურდა.

KP. 202+900-ზე, ნავთობსადენის მილის სამხრეთ გაყოლებაზე შესწავლილ იქნა 75 მეტრი სიგრძისა და რვა მეტრი სიგანის ზოლი. გაითხარა დაახლოებით 600 კვ მ. ფართობი. ძეგლის საზღვრების დადგენის მიზნით აღმოსავლეთ ნაწილში გაიჭრა ცხრა თხრილი: №1 - 20, მ. X 2,0 X 0, 4 მ.; №2 - 3,0 მ. X 1,0 X 1,85 მ.; №3 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 1,35 მ.; №4 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 0,8 მ.; №5 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 0,7 მ.; №6 - 3,0 მ. X 1,0 მ. X 0,8 მ.; №7 - 3,0 მ. X 1,0 მ. 0,7 მ.; №9 - 3,0 მ. X 2,0 მ. X 1,8 მ. (ტაბ. IV, V, VI, VII). აქედან №1 თხრილი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გავლებულ იქნა ტექნიკო მოხსნილ და შემდგომ მოსწორებულ ნაძრავ ფენაში.

გათხრილ ფართობზე გამოვლინდა სამი ნაგებობის ფრაგმენტი და ორი სამარხი. გაირკვა, რომ ძეგლი წარმოადგენს ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ერთფენიან ნასახლარს.

დერეფნის გაზის მილის მონაკვეთში თხრილების მეშვეობით შემოწმდა 50 მ X 4 მ ფართობი. გაიჭრა 10 თხრილი: №10 - 4,0 მ. X 2,0 მ. X 0,6 მ.; №11 - 4,0 X 1,0 X 0,7 მ.; №12 - 4,0 მ. X 2,0 მ. X 0,8 მ.; №13 4,0 მ. X 2,0 მ. X 0,8 მ.; №14 - 3,5 მ. X 2,5 მ. X 1,0 მ.; №15 - 3,0 მ. X 3,0 მ. X 1,0 მ.; №16 - 2,0 მ. X 1,0 მ. X 0,8 მ.; №17 - 2,0 მ. X 1,0 მ. X 0,9 მ.; №18 - 2,0 მ. X 1,0X 0,8 მ.; №19 2,0 მ. X 1,0 მ. X 0,9 მ. (ტაბ. V).

კულტურული ფენები გაზსადენის ზოლში დადასტურდა მხოლოდ ოთხ თხრილში ( №14, 15, 16, 17). რომელთა გაერთიანების შედეგად საბოლოოდ გაითხარა 21,0 მ X 4,5 მ ფართობი, სადაც აღმოჩნდა რვა სამარხი (№2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10) და ერთი ცილინდრული კერა. (ტაბ. VIII -1, 2; IX).

თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული არტეფაქტების საერთო რაოდენობა შეადგენს 677 ერთეულს. მასალის მიხედვით არტეფაქტები დაჯგუფდა შემდეგნაირად: კერამიკა, ქვა, ლითონი, პასტა (მინა) და ძვალი.

ტექნიკის მიერ ნაძრავ და გადანაყარ მიწაში აიკრიფა 26 ერთეული არტეფაქტი, რაც კულტურულ ფენაში და ძეგლებზე აღმოჩნდილი არტეფაქტების საერთო რაოდენობის 17 % შეადგენს.

შესწავლილი იქნა ძეგლიდან აღებული ნიადაგის 74 ნიმუში. პალეობორტანიკური და პალინოლოგიური კვლევის შედეგებმა შესაძლებლობა მოგვცა მოგვეხდინა იმდროინდელი პალეოკლიმატის, გეო-გარემოსა და მეურნეობის რეკონსტრუქცია.

## 5.2. ძეგლები

ნავთობსადენის მონაკვეთზე მიწის სამუშაოებისას დიდი ზიანი მიადგა ამ ნაწილში არსებულ არქეოლოგიურ ობიექტებს: ნაგებობებსა და სამარხებს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ აქ გამოვლიდა სამი ნაგებობის ნაშთი და ორი სამარხი. ქვემოთ ვიძლევთ არქეოლოგიური ძეგლების მოკლე აღწერილობას.

### ნაგებობა №1 (ტაბ. XI)

აღმოჩნდა A2A3, B2B3-W კვადრატში ნულოვანი წერტილიდან - 3,06 მ. სიღრმეზე. ნაგებობა მშენებლობის დროს ფაქტურად განადგურდა, ის წარმოდგენილია მხოლოდ ქვის კედლის ნაშთით, რომლის ზომებია: სიგრძე - 7,0 მ. სიგანე - 0,6 მ. სიმაღლე - 0,65 მ. კედლი დამხრობილია NO-დან SW მიმართულებით. ნაშენებია ბაზალტისა და თირის ქვებისაგან არაწესიერი წყობით, ტალახზე. კედლის ფრაგმენტის მიხედვით ნაგებობა ფასადით ორიენტირებული უნდა ყოფილიყო NW -კენ. ნაგებობა გამართული ყოფილა ყვითელ თიხნარ ნიადაგში. კედლის შიდა მხარეზე იატაკი არ დაფიქსირდა. ნაგებობის სავარაუდო ფართობი 30-35 კვ-მია. ნაგებობის არეალში აღმოჩნდა დაახლოებით 140-მდე არტეფაქტი. ძირითადად თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების, ქვის, ლითონისა და პალეოზოლიკური ნაშთების სახით. მოპოვებულ მასალაში წამყვანი ადგილი უჭირავს თიხის ნაწარმს. სახეობების მიხედვით გამოიყოფა: დერგები, ქილები, ტაფები, ხუფები, ჯამები და სადგრები. ჭურჭლი ხელითაა ნაძერწი. ზედაპირი შავი ან მონაცრისფროა. ზედაპირი ძირითადად გლუვი და სადაა. ამ ნაგებობაში აღმოჩნდილი ნატეხებიდან მხოლოდ სამი ფრაგმენტია ორნამენტირებული. სამივე რელიეფური დანაძერწებით არის შემკული. ერთ ნატეხზე სპირალია გამოსახული, ორზე კი ნახევარწრეებია დატანილი.

ქვის ნაწარმიდან აგსანიშნავია ხელსაფეხვავის ნატეხი, კაჟის ნამგლის ჩასართი და ობსიდიანის ლამელას ფრაგმენტი

ნაგებობაში B3 კვადრატის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული. კ. წ. უფადაქანებული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ადრეულ ცულადაა მიჩნეული.

პალეოზოლიკური მასალა ნაგებობიდან წარმოდგენილია მცირე ფრაგმენტებით (22 ერთეული). ძვლოვანი მასალის ძირითადი ნაწილი ეკუთვნის შინაურ, მსხვილფეხა რქოსან პირუტყველს. არის აგრეთვე ცხვრისა თუ თხის ძვლის ნაშთები. ნაპოვნია გარეული ტახის ეშვიც.

### ნაგებობა №2 (ტაბ. XII)

F3 F4; G3 G4-W კვადრატში ნული წერტილიდან 5,65 მ. სიღრმეზე. გაიწმინდა მხოლოდ იატაკის ფრაგმენტი, რომელიც ტექნიკის მიერ ძლიერ იყო დაზიანებული. *in situ* მგომარეობაში დაფიქსირდა: ადგილზე ჩალეჭილი თიხის რამდენიმე ჭურჭელი; ოთხკუთხა დუმელი; ტალახით შელესილი ნაცრის გროვა; მიწაში ჩაჭრილი და მოლესილი კერის ფოსო (ზომები: დმ. 0,15 მ., სიღრმე - 0,8 მ). აგრეთვე შემადლებული მოლესილობის (ბაქნის?) ნაშთი. ჩამოთვლილი დეტალები აშკარად მიანიშნებს აქ ნაგებობის არსებობაზე. სამწუხაროდ ვერაფერს ვიტყვით გეგმარებასა და სამშენებლო ტექნიკაზე.

იატაკის დონეზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლიდან აღსანიშნავია: დიდი ზომის დერგები, ბადია, სადგრის ტიპის გვერდებდახვრეტილი ჭურჭელი, ზომორფული გამოსახულებიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხარის ფიგურის რქის ფრაგმენტი. ქვის ნაწარმი წარმოდგენილია ბაზალტის ხელსაფქვავებით (2 ც) და რიყის ქვის სასრეესებით. ძვლოვანი მასალა შეადგენს 13 ერთეულს. ისინი ეკუთვნის მსხვილფეხა შინაურ ცხოველებს (№№ 154/363; 155/364; 156/365).

### ნაგეგბობა №3 (ტაბ. XIII)

აღმოჩნდა C3 D3 -W ვადრატში ნულოვანი წერტილიდან 3,5 მ. სიღრმეზე შემორჩენილი ბაზალტის ქვებისაგან ტალახზე ნაშენები, კედლის მცირე ნაშთი. მისი ზომებია: სიგრძე - 0,85 მ., სიგანე - 0,5 მ. სიმაღლე - 0,2-0,3 მ. კედლის ფრაგმენტი S-დან N-კენაძ დამხრობილი. ქვები ეწყო ცეცხლისაგან გაწითლებულ თიხნარ მიწაზე. ნაგებობა მშენებლობის დროს ფაქტობრივად განადგურდა.

კედლობან აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ნალისებური სადგარის ორნამენტირებული ფრაგმენტი, ცხოველის (ცხვრის?) თიხის ფიგურა. კაჟის ნამელის ჩასართები 3 ც.

**კომენტარი.** ენერგოკორიდორის ნაგობსადენის მონაკვეთზე შესწავლილ ფართობზე, როგორც უკვე ითქვა, ძეგლი მშენებლობის პროცესში ფაქტიურად განადგურდა. გადარჩა მხოლოდ ზემოთ აღწერილი ნაგებობის უმნიშვნელო ფრაგმენტები. ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში მშენებლობის ტექნიკასა და გეგმარებაზე მსჯელობა არადამაჯერებელი იქნება. თუმცადა №1 და №3 ნაგებობათა კედლის ნაშოებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ რომ შენობები შესაძლოა აშენებული ყოფილიყო ქვის საძირკველზე მდგარი ხის კონსტრუქციებით. კერძოდ სარ-ლასტით, რომელიც შიგნიდან და გარედან ილესებოდა თიხით. როგორც წესი ასეთი ნაგებობები მთავრდებოდა ბანური გადახურვით. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ძლიერად დაზიანებული, საგანგებოდ მოტკეპნილი და გადალესილი იატაკების ფრაგმენტები მაინც უნდა შემორჩენილიყო. აღნიშნული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ შენობებში ამგვარი იატაკები არ უნდა არსებულიყო. საერთოდ ბუნებრივ ფერდობებზე და მთებზე გამართული ადრებრინჯაოს ხანის ნასოფლარების შენობებში ძალზე იშვიათია წინასწარ მომზადებულ სუბსტრუქციაზე იატაკების მოწყობა. ჩანს თისელის სერის ნამოსახლარის ამ უბანზეც ანალოგიურ სიტუაციასთან უნდა გვქონდეს საჭმე.

### ორმო-სამარხი №1 (ტაბ. XIV-1)

აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,7 მ. სიღრმეზე, BO-W კვადრატში, დერეფნის სამხრეთ ჭრილში. ჩრდილოეთი ნაწილი ჩამოჭრილია ტექნიკის მიერ. სამარხი დამხრობილია O-დან W-კენ. სამარხი ორმოს ზომებია: 0,85 მX 0,4 მX0,7 მ.

სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი 8-10 წლის, თავით აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხიდან შემოჩენილია მხოლოდ კბილები.

სამარხში დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა თიხის ორი ქოთანი (ტაბ. XXXII-158/367; 159/368).

### ორმო-სამარხი №3 (ტაბ. XIV-2)

გაიწმინდა G3-W კვადრატში სამარხის ზედა ნაწილი და ჩრდილოეთი კიდე ტექნიკის მიერაა დაზიანებული. სამარხი ორმო ჩაუჭრიათ ყვითელი თიხნარ ნიადაგში ნული წერტილიდან 5,60 მ. სიღრმეზე. სამარხი ორმო ოთხეუთხა ფორმისაა და დამხრობილია S-დან N-ის მიმართულებით. აღმოსავლეთ და დასავლეთი კედლის გასწვრივ ერთ რიგზე აწყვია ბაზალტისა და თირის 8-8 ცალი ქვა. სამხრეთ კედელთან - 5 ცალი. ჩრდილოეთის მხარე დაზიანებული იყო ნავთობსადენის მშენებლობის დროს. სამარხი გადახურული უნდა ყოფილიყო ძელებით. სამარხი ორმოს ზომებია: 1,8 მX1,4 მ 0,3 მ

სამარხში დაუკრძალავთ ბავშვი 5-6 წლის, თავით S-კენ, მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა გვერდზე. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული.

სამარხის სამხრეთ ნაწილში, ქვებზე იდო შინაური მსხვილეულის (ძროხის თუ ხარის) თავის ქალა, კისრის ძვლები და ნეპნები. ცხოველის ძვლებიც ცუდად იყო შემონახული.

სამარხი უზინვერგაროა.

სანამ უშუალოდ გაზიადენის მხარეზე გამოვლენილ არქეოლოგიური ძეგლების დახასიათებაზე გადავიდოდეთ გვინდა მოკლედ შევეხოთ აქ არსებულ მდგომარეობას. დერეფნის ამ ნაწილში მხოლოდ ჰუმური იყო მოხსნილი და ამიტომაც აქ არსებული ძეგლები, გარდა ერთისა (სამარხი №2), დაზიანებას გადაურჩა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამარხები გამართულია ნამოსახლარის თანადროულ საგანგებოდ გაჭრილ ლინზისებურ "თხრილში", რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისეკნ არის მიმართული.

"თხრილი", რომელშიც სამარხებია გამართული აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით 21 მ-ს აღწევს. დაუდგენელი დარჩა მისი გავრცელების ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები. "თხრილის" თავდაპირველი ფუნქცია ჩვენთვის უცნობია. ძნელი დასაჯერერებელია, რომ ის თავიდანვე სამარხების გასამართავად ყოფილიყო გაჭრილი. სამწუხაროდ ამ ნაწილში, ნაცვლად კონტრაქტით გათვალისწინებული რვა მეტრიანი სიგანის ზოლისა, გათხრილი იქნა მხოლოდ ოთხმეტრიანი თხრილი. ამ ფაქტმა ბუნებრივია განაპირობა ინფორმაციის სიმწირე ჩვენთვის საინტერესო უბანზე. "თხრილი" შევსებული იყო კულტურული ფენით. ფენის სიმძლავრე "თხრილის" კოდეებთან თანდათანობით მატულობდა და ცენტრალურ ნაწილში 1,7 მ-დე აღწევდა. რაც ამავე დროს თხრილის მაქსიმალურ სიღრმეს წარმოადგენდა. (ტაბ. VII, IX, X)

კულტურული ფენი ხუთი პორიზონტისაგან შედგება, რომლებიც ერთიმეორისაგან ფერის მიხედვით გამოიყოფა. პორიზონტები ზემოდან ქვემოთ შემდეგნაირად ხასიათდება:

I. პორიზონტი, რომელიც მდებარეობდა ჰუმურის ქვეშ წარმოადგენს მოყავისფრო ნიადაგს. ის არ შეიცავს არტეფაქტებს. ამ პორიზონტში გამართული იყო №2 სამარხი. პორიზონტის სისქე 0,4-0,5 მ-დე აღწევს.

II. პორიზონტი ფხვიერი, ნაცროვან-ნახშიროვანი მიწის მასა რომელიც გაჯერებულია კერამიკის ნატეხებითა და პალეონტოლოგიური ნაშთებით. ამ დონეზე გამართულია №6 სამარხი. პორიზონტის სიმძლავრე - 0,4 მ-ია.

III. პორიზონტი წამოადგენს ფხვიერ, მოყავისფრო და ნახშიროვანი მიწის მასასა და კულტურული ნაშთების (კერამიკა, ქვა, ძვალი) კონგლომერატს. ამ დონეზე გაითხარა ცილინდრული კერა და სამარხი-აკლდამა №4. პორიზონტის სისქე - 0,4 მ-ია.

IV. "პორიზონტი ხელოვნურად" მოზვინული და შემდგომ დატექნილი, წმინდა, ყვითელი, თიხნარი ფენაა. თიხნარში შერეულია კერამიკული ფრაგმენტები და ცხოველის ძვლების უმნიშვნელო ნატეხები. ამ დონეზე აღმოჩნდა უინგენტარო სამარხები, რომლებშიც მხოლოდ შინაური ცხოველის ძვლებია წარმოდგენილი (№5, №7, №8, №9, №10). სამარხები ისეა გადალესილი ყვითელი თიხნარით, რომ თხრის დროს მათი კონტურები არ იკითხებოდა. პორიზონტის სისქე 0,30-0,35 მ-ია.

V. პორიზონტი, რომელიც დევს დედაქანზე, წარმოადგენს შავი ფერის, ფხვიერი მიწის მასას. ჩაურილია ხელოვნურად თხრილის ყველაზე დრმა ნაწილის შესავსებად. ამ დონეზე აღმოჩნდა თიხის ხუფისა და ქოთნის ნატეხები. სისქე - 0,15-0,20 მ.

#### ორმო-სამარხი №2

აღმოჩნდა მიწის მოხსნილი ზედაპირიდან 0,2 მ. სიღრმეზე, A9-W კვადრატში დაზიანებულია ტექნიკის მიერ. შემორჩენილია მხოლოდ მისი ნაწილი. სამარხი გამართულია ადრებრინჯაოს ხანის განიადაგებულ პუმუსოვან ფენაში. დამხრობილია N-დან S-ის მიმართულებით. სამარხი ორმოს მიახლოებითი ზომებია: 0,8 მ X 0,6 მX0,2 მ.

მიცვალებული დაკრძალული ყოფილა მოხრილ პოზაში მარჯვენა (?) გვერდზე თავით ჩრდილოეთისაკენ. ჩრნჩხი ცუდად იყო დაცული. შემორჩენილი იყო მხოლოდ მენჯისა და ქვედა კიდურების ძვლები დაშლილ მდგომარეობაში.

სამარხში, სამხრეთ ნაწილში, აღმოჩნდა თიხის მცირე ზომის კოჭობი. ძლიერ დაზიანებული შავპრიალა ზედაპირითა და მოვარდისფრო სარჩულით (ტაბ. XXXII-251/654).

#### სამარხი-აკლდამა №4 (ტაბ. XV)

სამარხი მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 1,0 მ. ხოლო ნული წერტილიდან 3,65 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა, 09-EW კვადრატში აკლდამა გამართულია კულტურულ ფენაში. მისი ქვედა ნაწილი კი ჩაჭრილია ქვიშნარ ნიადაგში. აკლდამის გარე ზომები: 2,3 მX1,8 მ., ხოლო შიდა 1,80dX1,55dX0,5 მ-ია. სამარხი ოთხკუთხაა, ის დამხრობილია SO-დან NW-კენ.

აკლდამა ნაშენებია საგანგებოდ შერჩეული თირის საშუალო ზომის ქვებით. კედლები შედგება 5-6 რიგად დაწყობილი ქვებისაგან. სამარხი ნაგებობა გადახურული უნდა ყოფილიყო ძელებით, რომელზედაც გამართული ყოფილი მცირე ქვაყრილი, რაც დაფიქსირდა აკლდამის ზედა დონეზე. შიდა სივრცე შეესტული იყო მოწითალო-მოყავისფრო ფერის ქვიშანარევი მიწით. აკლდამაში დაკრძალული იყო ახალგაზრდა, მდედრობითი სქესის, 30-35 წლის, ინდივიდი. ის იწვა SW-კედლის გასწვრივ მოხრილ პოზაში თავით SO-სკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

- ძვლის კვირისტავის ფრაგმენტი, მიცვალებულის კისრის არეში (ტაბ. XXXIII-252/656)
- ობსიდიანის უფორმო ანატკეცი ფეხებთან (252/656-1)
- გაუმჭირვალე პასტის (მინის) ცილინდრული ფორმის თეთრი ფერის 39 ცალი და 28 ცალი ლურჯი მძივი (ტაბ. XXXIII-252/657) მიცვალებულის კისრის არეში.
- აღაპის ნაშთები შინაური ცხოველის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კბილების, ცხვრის ყბის, კიდურებისა და შვლის მეტაკარპალური ძვლების სახით (257/658 - 1-4). ძვლოვანი მასალა ეწყო კედელზე - SO კუთხესთან.
- თიხის ჭურჭლის უფორმო ფრაგმენტი (252/655), აღმოჩნდა აკლდამის შევსებაში.

### ორმო-სამარხი №5 (ტაბ. XVI)

აღმოჩნდა A9-W კვადრატში მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე, ნულოვანი წერტილიდან კი 4,35 მ-ზე. ორმო-სამარხი გამართულია ხელოვნურად მოზინულ ყვითელ თიხნარში და ზემოდან საგანგებოდა გადალესილი. ორმოს კონტურები არ დაფიქსირდა. სამარხი დამხრობილია SO-დან NW-კე; დასაკრძალავი ორმოს მიახლოებითი ზომებია 0,8 მX0,5 მX0,2 მ.

სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი 6-7 წლისა, ის იწვა მარცხენა გვერდზე მოკრუნებულ პოზაში, თავით SO-კენ.

სამარხი უინვენტაროა.

### ორმო-სამარხი №6 (ტაბ. XVII)

აღმოჩნდა O8-E კვადრატში მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 0,5 მ. სიღრმეზე, ორმო ჩაჭრილია კულტურულ ფენასა და ქვა-ლორდიან ნიადაგში. სამარხი ქვაყრილიანი, ოთხეუთხა ფორმის ორმოსამარხია, რომელიც SO-დან NW-კენაა დამხრობილი. მისი ზომებია 1,8 მX1,2 მX0,8 მ

სამარხი გადახურული უნდა ყოფილიყო ძელებით და ზემოდან ოთხეუთხა ფორმის ქვაყრილით. სამარხი შეესებული იყო ქვებითა და მიწით.

სამარხში დაკრძალულია საშუალო ასაკის, მამრობითი სქესის 40-45 წლის, ინდივიდი. ის იწვა მარცხენა გვერდზე მოხრილ პოზაში, თავით SO-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ცალყურა ქილა (ტაბ. XXXIII-257/663). ის იდგა მიცვალებულის წინ, სამარხი ორმოს SW-კედელთან.
- 2..წვრილფეხა საქონლის - ბატქის და ცხვრის ძვლები. ელაგა მიცვალებულის თავთან.
3. ბაზალტის ხელსაფქვავის ფრაგმენტი აღმოჩნდა სამარხი ორმოს შევსებაში (256/662).

### ორმო-სამარხი №7 (ტაბ. XVIII)

აღმოჩნდა A8-W კვადრატში მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 1,3 მ. სიღრმეზე, ნულოვანი წერტილიდან - 4,35 მ-ზე. სამარხი ორმო გამართულია ხელოვნურად მოზინულ ყვითელ თიხნარში, რომელიც შემდგომ საგანგებოდა მოლესილი. ორმოს კონტურები არ დაფიქსირდა.

სამარხი დამხრობილია SO-დან NW-კენ. მისი მიახლოებითი ზომებია: 1,5 მX1,4 მX0,20 მ. სამარხში ორი ინდივიდი იყო დაკრძალული. ორივე მამრობითი სქესისა 40-45 და 50-55 წლის. ისინი მარცხენა გვერდზე იწვნენ, მოხრილ მდგომარეობაში თავით SO-კენ.

სამარხი უინვენტაროა.

### ორმო-სამარხი №8 (ტაბ. XVIII)

აღმოჩნდა A9-W კვადრატში მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 1,1 მ, ხოლო ნულოვანი წერტილიდან - 4,2 მ სიღრმეზე. სამარხი ორმო გამართულია სხვა ადგილიდან მოტანილ და საგანგებოდ მოზინულ ყვითელ თიხნარში. სამარხის კონტურები არ დაფიქსირდა. აქაც, როგორც წინა შემთხვევებში სამარხი ზემოდან გადალესილია.

სამარხი დამხრობილია SO-დან NW-კენ. მისი მიახლოებითი ზომებია: 1,2მX0,8 მX0,15 მ.

სამარხში დაკრძალულია ახალგაზრდა ინდივიდი მდედრობითი სქესის 18-20 წლის, იგი იწვა მარცხენა გვერდზე, მოკრუნებულ მდგომარეობაში, თავით SO-კენ.

სამარხში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის თავის ქალა, რომელიც იდო მიცვალებულის ბეჭებთან და ოთხი ცალი მეტაპოდიუმის ძვალი. ისინი ეწყო

მიცვალებულის კეფასა და თემოსთან (N<sup>o</sup>259/667). ძვლოვანი მასალა ეკუთვნის ცხვარს. სამარხი უინვენტაროა.

#### სამარხი №9 (ტაბ. XIX)

აღმოჩნდა O8-W კვადრატში მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 1,05 მ და ნულოვანი წერტილიდან 4,10 მ. სიღრმეზე. სამარხი თრმო გამართულია მოზენულ ყვითელ თიხნარში. ორმოს კონტურები არ დაფიქსირდა. სამარხზე, მოგვიანებით აქ კულტურული ფენის გაჩენის შემდეგ, 0,5-0,6 სმ-ით მაღლა გაუმართავთ ცილინდრული კერა.

სამარხი თრმო SO-დან NW-კენაა დამხრობილი. მისი მოახლოებითი ზომებია: 2,0 მX1,7 მ.

სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ორივე მამაკაცი 40-45 და 60-65 წლის. ისინი იწვენენ სახით ერთმანეთისაკენ, მარცხნა და მარჯვენა გვერდზე. ხელფეხმოკეცილები თავით SO-კენ.

სამარხში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით შინაური ცხოვლების ნაშთები: მსხვილფეხა საქონლის თავის ქალა და კიდურების ძვლები. ასევე წვრილფეხა საქონლის - ცხვრის, ბატქის თავის ქალები და კიდურები. ძვლოვანი მასალა ელაგა სამარხი თრმოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ (N<sup>o</sup>261/670).

სამარხი უინვენტაროა.

#### ორმო-სამარხი №10 (ტაბ. XX)

გაითხარა 09-W კვადრატში სამარხი მიწის მოხსნილი ზედაპირიდან მდებარეობდა 1,15 მ., ხოლო ნულოვანი წერტილიდან 4,15 მ სიღრმეზე. სამარხი თრმო გამართულია მოზენულ ყვითელ თიხნარში და შემდგომ ზემოდან გადალესილია ყვითელი თიხით. ორმოს კონტურები აქაც არ დაფიქსირდა.

სამარხი დამხრობილია SO-დან NW-ს მიმართულებით. მისი სავარაუდო ზომებია: 1,8მX1,4 მX0,15 მ. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ინდივიდი მამრობითი სქესის 40-45 წლის, მარცხნა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით SO-კენ.

სამარხი უინვენტაროა.

#### კერა. (ტაბ. XXI)

მდებარეობდა 09-W კვადრატში მოხსნილი მიწის ზედაპირიდან 0,65 მ. სიღრმეზე, ნულოვანი წერტილიდან კი 3,2 მ-ზე. კერა ჩადგმულია კულტურულ ფენაში. მის ზემოთ არსებული 0,5 მ სისქის ფენაც კულტურულია. კერა ცილინდრული ფორმისაა. მისი ზომებია: გარე d-0,6 მ., შიდა ანუ პირის d - 0,4 მ. სიმაღლე - 0,25 მ. პირის d- 0,18 მ. კერა ამოქსებული იყო ნახშირ-ნაცროვანი მასით. კერის გარშემო, დაახლოებით 3-4 კვ. მ. ფართობი გაიწმინდა, რომელიც ცეცხლისაგან იყო გაწითლებული. კერის ბორდიურთან აღმოჩნდა ორი ისეთივე ფორმის პასტის (მინის) მძივი, როგორი მძივებიც ჰქონდა აკლდამაში დაკრძალულ მიცვალებულს. კერის გარშემო არსებული მოედნის ნაწილი ზემოდან გადადიოდა აკლდამის SW და OS მონაკვეთებზე და შედიოდა მილებს შორის არსებული გაუთხრელი ფართობის ჭრილში. კერის სამაროვანზე გამართვა შესაძლოა დაკრძალვის რიტუალთან იყოს დაკავშირებული.

კომენტარი KP-202+200-ზე, ორივე უბანზე გაითხარა 10 სამარხი. ორი სამარხი (N<sup>o</sup>1; N<sup>o</sup>3) აღმოჩნდა ნაკობსადენის მხარეზე დერეფნის სამხრეთ ნაწილში, ხოლო დანარჩენი 8 კი გაზსადენის მილის ჩასადებ ზოლში.

სამარხებიდან ერთ-ერთი (N<sup>o</sup>4) სამარხი აკლდამაა, რომლის კედლები ამოშენებულია თირის ქვებით. დანარჩენი სამარხები მიეკუთვნება ორმოსამარხების ტიპს. ამ ჯგუფიდან N<sup>o</sup>6 სამარხი ქვაყრილიანია, დანარჩენი

კი მიწაყრილიანი. სამარხთა უმრავლესობა შვიდი სამარხი (№4; №5; №6; №7; №8; №9; №10) დამხრობილია SO-დან NW-ს მიმართულებით, ორი სამარხი (№2; №3) მიმართულია S-დან N-კენ. მხოლოდ ერთი სამარხია (№1) აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული. მიცვალებულები დაკრძალული არიან ხელ-ფეხ მოკეცილ მდგომარეობაში. შვიდ შემთხვევაში მარცხენა, ხოლო სამ სამარხში მარჯვენა გვერდზე. სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია. მხოლოდ ორში (№7; №9) დაფიქსირდა წყვილადი დაკრძალვა. მიცვალებულები უპირატესად თავით SO-კენ არიან დაკრძალულები (№4, №6, №7, №8, №9, №10). დაკრძალვის პოზისა და დამხრობის მიხედვით მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის რამე სხვაობის არსებობა არ შეინიშნება.

განსაკუთრებულ ინტერესს ის სამარხები, რომლებიც აღმოჩნდა გაზსადენის მხარეზე არსებულ ნამოსახლარის დროინდელი თხრილის ქვედა დონეზე (№5, №7, №8, №9, №10). ისინი გამართულია ხელოვნურად მოზინულ ყვითელ თიხნარში, ზემოდან კი ისეა გადალესილი, რომ სამარხთა კონტურების დაფიქსირება ვერ ხერხდება. ჩანს საქმე გვაქვს სამარხთა გამართვის თავისებურ წესთან. ამ სამარხების ნამოსახლარის თანადროულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მოტანილი თიხნარი ნიადაგი თვითონ შეიცავს მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. სამარხებში 11 ინდივიდი აღმონდა. აქედან სამი ბავშვია. რვა მიცვალებულიდან ექვსი მამრობითი, ხოლო ორი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

სამარხები ძირითადად უინვენტარო. არტეფაქტები აღმოჩნდა მარტო ოთხ სამარხში (№1, №2, №4, №6). მიუხედავად აღნიშნულისა, სტრატიგრაფიისა და მასალის მიხედვით, სამარხებში პირობითად შეიძლება გამოიყოს სამი ვიწრო ქრონოლოგიური ჯგუფი შემდეგი თანმიმდევრობით: I - ადრეული (№3, №5, №7, №8, №9, №10), II - მოგვიანო (№4, №6) და III - გვიანდელი ანუ ახალგაზრდა ჯგუფის (№1, №2) სამარხები.

KP-202+900 – გათხრილ სამარხთა ტიპები დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მისი განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე. განსაკუთრებით ადსანიშნავია №4 სამარხი-აკლდამა, რომლის კედლებიც საკმაოდ მაღალ ოსტატურადაა ნაშენები. სამარხი აკლდამები ცნობილია სამშვილდის, კოდის, არადეთისა და ახალციხის ამირანის გორის სამაროვნებიდან.

### 5. 3. არტეფაქტები

KP 202+900-ზე ნამოსახლარსა და სამაროვანზე აღმოჩნდილი არტეფაქტები 677 ერთეულს აღწევს. წარმოდგენილია თიხის, ბრინჯაოს, ქვის, ქვლის და პასტის (მინის) ნაკეთობები. აგრეთვე პალეოზოოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალები.

### ცხრილი №1

თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული არტეფაქტების სტატისტიკური მონაცემები მასალის მიხედვით

<b>არტეფაქტი</b>	ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტების რაოდენობა	შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტების რაოდენობა	საერთო რაოდენობა
<b>კურამიკა</b>	-	-	-
სადა	536	23	559
მოხატული	-	-	-

ორნამენტიანი	14	-	14
<b>ქად</b>	-	-	-
კაჟი	7	-	7
ობსიდიანი	26	2	28
ხელსაფქავი, სასრესი, სალესი	21	1	22
ლითონი	-	-	-
ბრინჯაო	1	-	1
მინა (პასტა)	69	-	69
ძვლის ნაქეთობა	1	-	1
<b>ძვლოვანი მასალა</b>	-	-	-
ადამიანის	11	-	11
ცხოველის	32	-	32
საერთო რაოდენობა	718 <sup>1</sup>	26	744

არტეფაქტებში დიდი წილი მოდის თიხის ნაწარმზე. აღმოჩენილია 573 ერთეული, რაც საერთო რაოდენობის 84-ს % შეადგენს. თიხის ჭურჭელი ნაძერწია ხელით. მოპოვებული მასალა მიეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურს (ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარი), ამიტომაც ქვემოთ ცალკეული ჯგუფების განხილვისას ჩვენ საგანგებოდ აღარ ვსაუბრობთ პერიოდზე.

#### კერამიკა

თიხის ჭურჭლის მასაში წარმოდგენილია თითქმის ყველა სახეობა, რომელიც დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკული კომპლექსისათვის. იმის გამო, რომ ჭურჭლის ძირითადი მასის აღდგენა ვერ მოხერხდა ჭურჭლის სახეობებად დაჯგუფება რამდენადმე პირობითია. ძირითადად პირ-ყელის ფრაგმენტების მიხედვით გამოიყო შემდეგი ჯგუფები: დერგები, ქოთნები, ქილები, კოჭობები, კერვები, ხუფები, ტაფები, სადგრები, ბადიები, ჯამები, ფიალა-სამარილებები, ღუმელი, ყალიბი და თიხის მცირე ფიგურები. (იხ. ცხრილი №2).

#### ცხრილი №2

თიხელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებლი არტეფაქტების სტატისტიკური მონაცემები სახეობათა მიხედვით

მასალა	სახეობა	რაოდენობა
კერამიკა	დერგები	58
	ქოთნები	36
	ქილა	2
	ხუფები	88
	ტაფები	51

<sup>1</sup> ნუსხასთან შედარებით ამ დანართში არტეფაქტების რაოდენობა გაზრდილია მძივების (პასტა) რაოდენობის დამატების გამო. ისინი ორ ნომრად იყო გატარებული ცხრილში (744-67=677 არტეფაქტების რიგითი ბოლო ნიმური).

	სადგრები	28
	კერები	26
	კოჭობი	130
	ბადია	1
	ჯამები	28
	ფიალა-სამარილები	12
	ყალიბი	1
	ღუმელი	1
	მძივსაკიდი	1
	ცხოველის ფიგურა	1
	ხარის ფიგურის რქის ნატეხი	1
<b>ქვა</b>	ხელსაფქავი	9
	სანაფი	4
	სასრები	4
	სალესი	2
<b>გაჟი</b>	ნამგლის ჩასართი	5
	ისრის წვერი	1
<b>ობსიდიანი</b>	ლამელები	6
<b>ბრინჯაო</b>	ცული	1
<b>პასტა (მინა)</b>	მძივები	69
<b>ძვალი</b>	გვირისტავი	1

**დერგები.** კერამიკულ ნაწარმში გამოიყო 58 ცალი დერგის ფრაგმნები. ფორმები გაურკვეველია. მხოლოდ ერთია ნაწილობრივ აღდგენილი. მისი ფორმა სფერული უნდა ყოფილიყო. ყელი ცილინდრული ფორმისაა, მონაცრისფრო ზედაპირითა და მოწითალო-მოვარდისფრო სარჩულით. მხრებზე მკრთალი ხაზებით რომებია გამოსახული (ტაბ. XXII-114/294).

დერგების უმრავლესობას მაღალი ცილინდრული ან კონუსური ყელი აქვს. პირი გარეთ კენ გადაშლილი. ამ ტიპის ჭურჭლის ზედაპირი და შიდაპირი მოხალისფრო-მოწითალოდ ან მოვარდისფრო-მონაცრისფროდაა გამომწვარი. გვხვდება შავზედაპირიანი და მოვარდისფრო სარჩულიანი დერგებიც. პეცის სისქე 1,0 სმ-დან 3,0 სმ-დე მერყეობს. ყურები დაძერწილია ყელსა და მხრებზე, ან მხოლოდ ტანზე. ღია ფერის დერგების ზედაპირი ხაოიანი და შლადია, ხოლო შავზედაპირიანი დერგები გამოირჩევა ნაპრიალები ზედაპირით. (ტაბ. XXII-78/211-1; XXIII-114/299-1; 144/299, 114/299-2).

დერგებზე, ისე როგორც მთელ თიხის ნაწარმზე, დეკორი იშვიათობას წარმოადგენს. დერგების ჯგუფს უნდა ეპუთვნოდეს ის ოთხი ნატეხი, რომელიც ორნამეტირებულია. ყველა მათგანზე შემკულობა შესრულებულია ჭურჭლის გამოწვის შემდეგ.

ღია მონაცრისფრო სქელკეციან ნატეხზე (ტაბ. XXVII - 82/226) ამოკაწრულია ცხოველის ფიგურა. ცხოველის უკან, ოდნავ ზემოთ, გამოსახულია წრე (ბორბალი?), რომელიც ხაზებით ოთხ ნაწილადადა გაყოფილი. გამოსახულება სქემატურია.

მონაცრისფრო, გლუვზედაპირიანი და სქელკეციან, ნატეხზე (ტაბ. XXVII-94/247) ამოკაწვრით დატანილია ორ ნაწილად გაყოფილი, სამკუთხედებით შევსებული ოთხკუთხედი, რომლის მარცხნივ ამოკაწრულია ცხოველის სქემატური გამოსახულება.

მოჩალისფრო ჭურჭლის ნატეხზე (ტაბ. XXVII-114/296) ამოკაწრულია სქემატურად წარმოდგენილი ზოომორფული გამოსახულება. აქაც ცხოველის ტანი სამკუთხედების მახვილი კუთხეების შეერთებითაა მიღებული.

წითელკეციანი, ნაპრიალებ ზედაპირიანი დერგის ყელის ფრაგმენტი (ტაბ. XXVII - 42/162) შემკულია ნაკაწრი ბადისებურად დაშტრიხული რომბებით.

დერგები აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვანის კულტურულ ფენებში.

დერგების ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მარცვლეულისა და ნაკლებად ფუქებადი პროდუქტის ადგილზე შენახვა.

**ქოთნები.** თიხის ჭურჭლის მასაში გამოიყო ქოთნების პირ-ყელის 36 ნატეხი. ძირითადად ამგარი ნატეხების მეშვეობით ხერხდება აღუდგენელი თიხის ჭურჭლის იდენტიფიკაცია. დეკორი ამ ტიპის ჭურჭელზეც იშვიათობას წარმოადგენს. არსებობს მხოლოდ რამდენიმე ორნამენტირებული ნატეხი, რომლებიც ქოთნებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ორნმენტი ძირითადად რელიეფურია. სამ შემთხვევაში საქმე გვაქს სპირალურ ფორმასთან

ერთ ნატეხზე «სარკმლის» ქვემოთ დაძერწილია გველის რელიეფური გამოსახულება. რელიეფური ორნამენტით შემკული ყველა ნატეხი შავზედაპირიანი და მოვარდისფრო სარჩულიანი ჭურჭლის ფრაგმენტებია. მხოლოდ ერთი ნატეხია ღია მოჩალისფრო ზედაპირიანი, რომელზედაც ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი.

ქოთნებში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა ღია, მოვარდისფრო-მოჩალისფრო და შავზედაპირიანი ჭურჭელი. ღია ფერის ქოთნების ზედაპირი უხეშია, შავზედაპირიანი ქოთნები - ნაპრიალები. ქოთნებს ყელი ცილინდრული აქვთ, პირი მომრგვალებული. ყურები დაძერწილია პირსა და მხრებზე ანდა ყელსა და მხარზე. კუცი შეიცავს არაორგანულ მინარევებს.

აშკარად გამოირჩევა სამი ქოთანი. ისინი თხელკედლიანია, ხასიათდებიან ნაპრიალები ზედა და შიდაპირით. ორი მათგანი მოშავო-მოყავისფროა (ტაბ. XXX - 213/508) ერთი კი მოწითალო-მოყავისფრო (ტაბ. XXX-213/509). ქოთნები აღმოჩნდა ძეგლის ორივე უბანზე გათხრილ კულტურულ ფენებში.

მცირე ზომის თიხის ჭურჭელი ძირითადად გამოიყენებოდა სამზარეულო საქმიანობაში. ხოლო ის ქოთნები რომლებიც გამოირჩევიან დახვეწილი ფორმებით და ზედაპირის დამუშავებით, წარმოადგენდა სასუფრფ-საპარადო ჭურჭელს.

ქოთნები აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვნის კულტურულ ფენებში. ორი ქოთანი ჩაუტანებიათ №1 სამარხში დაკრძალული მიცვალებულებისათვის ქოთნები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ყოველდღიურ საქმიანობაში, ძირითადად ალბათ სამზარეულოში.

**ქილები.** ჭურჭლის ეს სახეობა თითქოს იშვიათობას წარმოადგენს. ორივე ქილა ღია ფერისაა - მოჩალისფრო და მოყავისფრო ზედაპირიანი, მაღალი ცილინდრული ყელით. ერთი ქილა (114/298) აღმოჩნდა №2 ნაგებობის არეალში. მეორე ქილა ნაპოვნია №6 სამარხში.

ქილები გამოიყენებოდა სამზარეულო საქმიანობაში.

**კოჭობები.** ყველაზე დიდი რაოდენობით ძეგლზე წარმოდგენილია კოჭობები. მათი რაოდენობა 130 აღწევს. ყველა ფრაგმენტი უორნამენტოა. ფორმები გაურკეველი. ყელი ცილინდრულია. ამ ტიპის ჭურჭელს ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხრებზე ან ყელსა და მხარზე. იშვიათი გამომნაკლისის გარდა კოჭობები ღია ფერისა ყოფილა. მოწითალო-მოჩალისფრო და მოვარდისფრო-მონაცრისფრო ზედაპირითა და შიდაპირით.

**კერვები.** თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ცალკეული ფორმის კერის ფრაგმენტები. სრულყოფილი სახით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი

კერა. მთლიანობაში 26 კერის ფრაგმენტია აღმოჩენილი. (ტაბ. XXVIII-213/506; ტაბ. XXXI-212/477).

ადრეულ კერებად მიჩნეულია ე. წ. სტაციონალური კერები. კერები, რომლებიც კეთდებოდა ადგილზე. ნაგებობის იატაკის ცენტრალურ ნაწილში ამოთხოვდნენ ორმოს და შემდეგ მოლესავდნენ ნამჯანარევი სკელი თიხით. კერის ბორდიური გადადიოდა იატაკზე და მისგან ოდნავ იყო გამოყოფილი, წრიული შემაღლებით. ფორმით ამ ტიპის კერები ცილინდრულია. მსგავსი კერის დეტალს უნდა წარმოადგენდეს №2 ნაგებობის იატაკის დონეზე დაფიქსირებული კერის ფოსოც.

კერების მეორე ჯგუფს წარმოადგენს ე. წ. გადასატანის კერები. ფორმების მიხედვით გამოიყოფა ცილინდრული და შვერილიანი კერები. ისინი მზადდებოდა ცალკე და შემდეგ ხდებოდა მათი დამონტაჟება იატაკში.

#### ცილინდრული კერა (ტაბ. XXVIII-213/506)

გაითხარა სამაროვნის ტერიტორიაზე გამოვლენილ კულტურულ ფენაში. მისი ზომებია: გარეთა d-0,6 მ., შიდა - 0,4 მ. სიმაღლე - 0,25 მ. ძირის d - 0,18 მ. აქვეა აღმოჩენილი ოთხი სხვადასხვა ცილინდრული კერის ბორდიურის ნატეხები.

კერებს ძირითადად საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის იყენებდნენ, თუმცა ხშირად მათ ემატებოდა რიტუალურ-რელიგიური ფუნქციაც.

**სუფები.** (ტაბ. XXV-81-218; XXVIII-10/83; 16/100-1; 22/117; 179/399; 219/563; 234/615). მტკვარ-არაქსული კულტურის კერამიკული კომპლექსისათვის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს თიხის ჭურჭლის სუფები. სულ ძეგლზე აღმოჩნდა სუფის 88 ნატეხი.

სუფები სადაა, არ გვხვდება შემკობის არანაირი კვალი. ყველა სუფი დისკოსებურია. სუფებს ცენტრალურ ნაწილში დაძერწილი აქვს ყურები ან ცილინდრული ფორმის შვერილები.

სუფის ნატეხები აღმოჩენილია ნამოსახლარის მთელს ფართობზე და სამაროვნის კულტურულ ფენებში.

სუფები ჭურჭლის სახურავად გამოიყენებოდა და მათ სხვა ფუნქცია არ გააჩნდა.

**ტაფისებური ჭურჭელი.** მოპოვებლ თიხის ნატარმში გამოირჩევა ტაფისებური ჭურჭლის 51 ნატეხი. ორნამენტით შემკულია მხოლოდ ორი ნატეხი. ორივეს, შიგნითკენ შედრეკილ პირზე, დაძერწილი აქვს რელიეფური ნახევარ წრეები ( ტაბ. XXV-23/122).

ტაფისებური ჭურჭელები გეგმაში წრიული ფორმისაა, ახასიათებს დაბალი კედლები, რომლებიც ერთ-ერთ ადგილზე შიგნითკენაა შედრეკილი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ისინი ძირამდე დიადაა დატოვებული.

ყველა ნატეხი მოწითალო ან მოვარდისფრო. ტაფებს, როგორც წესი, შიდაპირი კარგადა აქვს მოგლუვებული და ნაპრიალები. ზედაპირი კი უხეშია. ამ ტიპის ზოგიერთ ჭურჭლის ძირი და გვერდები გახვრებილი აქვს (ტაბ. XXVI-227/594; 263/672).

ტაფების ნატეხების უმრავლესობა აღმოჩნდა ნამოსახლარის ტერიტორიაზე არსებულ ფენებში. გაზსადენის მხარეს კი, სამაროვანზე, ნაპოვნია მხოლოდ ექვსი ფრაგმენტი.

ტაფებს, როგორც ჩანს იყენებდნენ სამზარეულო საქმიანობაში, ძირითადად მშრალი საჭმლის მოსამზადებლად.

**სადგრები.** კერამიკულ ნატარმში ცალკე ჯგუფს შეადგენს კერის სხვადასხვა ზომის და ფორმის სადგრების ფრაგმენტები. ძეგლის ორივე უბაზზე ნაპოვნია 28 ნატეხი. ფორმების მიხედივთ გამოიყოფა: ნალისებური, რქისებური, კონუსური და წახნაგოვანი სადგრები.

**ნალისებური სადგრები.** ამ ჯგუფში ორი ტიპია გაერთანებული. I ტიპი დიდი ზომის სადგრებია. II ტიპი კი მცირე-მინიატურული ფორმებით ხასიათდება და წარმოადგენს ნალისებური სადგრების ვარიაციას.

I ტიპის ოთხი სადგრის ფრაგმენტია აღმოჩენილი. ერთი სადგრის ბოლო, რომელიც ზეაწეული შვერილით მთავრდება, საფასადო მხარეს ბრტყელია და შემკულია ნაჭდევი გეომეტრიული ორნამენტით და ღრმა ნაჩხვლებებით (ტაბ. XXV-69/195; 121/317; 44/166). №44/166 სადგრის ფრაგმენტი გაითხარა №3 ნაგებობის ნაშთის მიდამოებში

ნალისებური სადგრების II ტიპი - წარმოდგენილია 12 ნატეხით. მათ ახასიათებთ მცირე ფორმები. ისინი ღია ფერისაა, მოწითალო-მოვარდისფრო. ზედაპირი გლუვია. აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვანის კულტურულ ფენებში (ტაბ. XXIV-34/141; XXIX-318).

**რქისებური სადგრები.** ამ ტიპის სადგრების 10 ფრაგმენტია ნაპოვნი. ყველა სადაა, ზედაპირი გლუვი და ნაპრიალებია. აქვს ღია, მოვარდისფრო-მონაცრისფრო ზედაპირი. აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვანის კულტურულ ფენებში. (ტაბ. XXXI-213/505; 277/591).

**კონუსური სადგრები** ორი ცალია აღმოჩენილი. ორივე ფრაგმენტულია. მოწითალო-მოყავისფრო ფერის. ნაძერწია ქვიშამინარევიანი თიხისაგან ერთი აღმოჩნდა ნამოსახლარზე, მეორე კი - სამაროვანზე. (ტაბ. XXIV-55/181-1).

**წახნაგოვანი სადგარი** ერთი ცალია აღმოჩენილი სამაროვნის კულტურულ ფენაში (222/577). ფორმა მოლად გარკვეული არ არის.

სადგრის დეტალი - ადამიანის თავის სტილიზებული გამომსახულება, სახე სამკუთხედის ფორმისაა. რელიეფურად გადმოცემულია ცხვირი. თვალები და პირი წარმოდგენილია ღრმა ფოსოების სახით. აღმოჩნდა სამაროვანზე კულტურულ ფენაში. (ტაბ. XXX-175/395).

სადგრების ძირითადად სარიტუალო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა. **ბადია.** ერთი ცალითაა წარმოდგენილი პირ-გვერდის სახით. ის სადაა, უორნამენტო. ნახევარსფერული ფორმის. ბრტყელი პირით და ბრტყელი ძირით. პირს ქვემოთ მიძერწილია ნახვრეტიანი შვერილი. მონაცრისფროდ ნაპრიალები ზედა და შიდაპირით. (ტაბ. XXV-104/260) ბადიის ნატეხი აღმოჩნდა №2 ნაგებობის გამჭოლნახვრეტიანი იატაკის ფრაგმენტის არეალში G 4 კვადრატში.

გამოიყენებოდა როგორც სამზარეულო ჭურჭელი.

**ჯამები.** აღმოჩენილია 28 ფრაგმენტი. ყველა უორნამენტო. მხოლოდ ორი ჯამის ნატეხია რელიეფური შვერილითა და კოპით შემცული. ერთ-ერთი ჯამის პირ-გვერდზე შერჩენილია, მცირე ზომის, პორიზონტალური ცრუ-ყური ვერტიკალური ნახვრეტით. ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ჯამები ნახევარსფერული ფორმის უნდა ყოფილიყო. პირი ნაწილს ბრტყელი, ნაწილს კი მომრგვალებული აქვს. ფერის მიხედვით სჭარბობს ღია მონაცრისფრო-მოვარდისფრო ზედა და შიდაპირიანი ჭურჭელი. ზედაპირი მოსწორებულია. ჯამები აღმოჩნდა ძეგლის ორივე უბაზზე არსებულ კულტურულ ფენებში. (ტაბ. XXIII-114/293; XXVII-98/253; 213/507; 233/613).

ჯამები წარმოადგენს სუფრის ჭურჭელის ერთ-ერთ სახეობას.

**ფიალ-სამარილებები.** აღმოჩენილია 12 ნატეხი. მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია სრული. ჭურჭლის ეს ჯგუფი გამოირჩევა მინიატურული ზომებით, ღია მოყავისფრო-მონაცრისფრო შიდა და ზედაპირით. ზედაპირი მოგლუვებულია და ზოგჯერ ნაპრიალებიც.

ფიალები და სამარილებები აღმოჩნდა ნამოსახლარის კულტურულ ფენის მთელ ფართობზე. გამოიყენებოდა სამზარეულო საქმიანობაში და სუფრაზე.

**დუმელი.** აღმოჩნდა ერთი ცალი დაზიანებულ მდგომარეობაში. შემორჩენილია მისი ნაწილი. ის ოთხკუთხა ფორმისა. აღმოჩნდა №2 ნაგებობის იატაკზე.

არეკვლითი დუმელი ღია ტიპისაა. მას, როგორც ჩანს თონის პრინციპით იყენებდნენ და მასზე აცხობდნენ ცომეულს.

**ფალიბი.** ერთი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ის თიხისაგანაა გამოძერწილი. კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმის, ღია-მოვარდისფრო ფერის. (ტაბ. XXV - 111/284) აღმოჩნდა №2 ნაგებობის იატაკის ნაშითის დონეზე.

გამოიყენებოდა მეტალურგიულ წარმოებაში, ლითონის გაურკვეველი ფორმის ნივთის ჩამოსასხმელად.

**მცირე ზომის ფიგურები.** ნამოსახლარის ტერიტორიაზე სულ ნაპოვნია ასეთი ტიპის სამი ნივთი: ცხოველის ფიგურა, რქის ფრაგმენტი და მძივსაკიდი.

ცხოველის ფიგურა (ცხვარი?) წარმოადგენს მცირე პლასტიკის ნიმუშს. ის დაზიანებულია, მოტეხილი აქვს ფეხები და სახის მარჯვენა ზედა ნაწილი. მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი (ზომები: სიგრძე – 7,8 სმ. სიმაღლე – 4,2-4,3 სმ. თავის სიმაღლე – 3,6 სმ. სიგრძე – 1,1 -3,1 სმ.). (ტაბ. XXIV-65/191). ეს ფიგურა აღმოჩნდა №3 ნაგებობის ნაშითის არეალში D3 კვადრატის აღმოსავლეთ კუთხეში. ფიგურას უნდა ჰქონოდა მაგიურ-რიტუალური ფუნქცია.

**ხარის ფიგურის რქის ნატეხი,** სადა ნაპრიალები ზედაპირით. ნახევარრკალისებური ფორმისა. აღმოჩნდა №2 ნაგებობის ნაშითის არეალში. სარიტუალო დანიშნულების.

ზომები: სიგრძე – 3,4 სმ. დმ. - 1,1 სმ. (ტაბ. 99/254)

**მძივსაკიდი.** სადა, ოვალური ფორმის, მოვარდისფრო. აღმოჩნდა №3 ნაგებობის ნაშითის არეალში. C3 კვადრატში (66/192). გამოიყენებოდა სამკაულის დანიშნულებით.

ზომები: სიგრძე – 3,4 სმ; დმ – 1,7 სმ; (ტაბ. XXIV - 66/192).

### ქვის იარაღები

თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე აღმოჩნდა ქვის სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების იარაღები. ისინი დამზადებულია ბაზალტის, რიყის, ქვიშა-ქვის, კაეისა და ობსიდიანისაგან. სულ ნაპოვნია 50-ზედე ერთეული. აქ წარმოდგენილია ხელსაფქვავები, სანაები, სასრექსები, სალექსები, ნამგლის ჩასართები ისრის წვერი და ლამელები.

**ხელსაფქვავი** 9 ცალია ნაპოვნი. ყველა მათგანი ნაკლულია. ისინი დამზადებულია ბაზალტისა და ქვიშა-ქვისაგან. ფორმით ისინი კ. წ. ნავისებურია. ორი ცალი გაითხარა №1 და №2 ნაგებობების სავარაუდო ფართობზე. დანარჩენი 7 აღმოჩნდა ნამოსახლარისა და სამაროვნის კულტურულ ფენებში (ტაბ. XXV - 1/6; XXX - 188/428).

**სანაები** ოთხი ცალითაა წარმოდგენილი, გამოიყენებულია საგანგებოდ შერჩეული რიყის ქვები. ყველას ეტყობა გამოიყენების კვალი.

**სასრექსებად** გამოიყენებულია მრგვალი ან მრგვალბრტყელი რიყის ქვები. ისინი ხასიათდება ნამუშევარი ზედაპირით (4 ცალი).

ხელსაფქვავები, სანაები და სასრექსები გამოიყენებოდა მარცვლეულისა და მცენარეული ოქსლების დასაფქვავად. მათ, მხოლოდ პრაქტიკული, სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა.

**სალესები** ორი ცალია ჯერ-ჯერობით ნეპოვნი მთელ ძეგლზე. ისინი ხასიათდება ნაპრიალები და ნამუშევარი ზედაპირით. გამოიყენებოდა ლითონის იარაღის პირის გასაწყობად.

**ნამდლის ჩასართები** (5 ცალი) აღმოჩნდა №1 და №3 ნაგებობათა ფრაგმენტებში და სამაროვნის კულტურულ ფენაში. ჩასართები დამზადებულია კაჟის ბრტყელ ანატკეცებზე და დამუშავებულია ორმხრივად. პირები ხერხისებურია და ხმარებისაგან გაპრიალებული. ჩასართები მაგრდებოდა ნამდლის ფორმის ხის საფუძველზე და გამოიყენებოდა მარცვლეულისა და მცენარეების მოსამკელად. (ტაბ. XXXVI; XXXVII - 432-1).

**შუბისირი** კაჟის, ფოთლისებური ფორმის, დამუშავებლია მთელი ზედაპირი ე.წ. მცოცავი რეტუშით. ზომები: სიმაღლე 7,7 სმ., სიგანე - 3, 2 სმ. სისქე - 1,0 სმ. (ტაბ. XXXVII - 523) გამოიყენებოდა საბრძოლო და სამოანდირეო საქმეში (აღმოჩნდა გაზის მონაკვეთზე, სამაროვნის კულტურულ ფენაში).

**ლამელები** აღმოჩნდილია 6 ცალი. ისინი ობსიდიანის ბრტყელ ანატკეცებზეა დამზადებული. ყველა მათგანი ფრაგმენტირებულია. ახასიათებო ცალმხრივი რეტუში. (ტაბ. XXXVII - 470) ლამელების ფრაგმენტები ნაპოვნია ნაგებობათა ტერიტორიაზე და სამაროვანზე. აღნიშნული იარაღი გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. კაჟისა და ობსიდიანის იარაღების ფუნქციურ დანიშნულებაზე საუბარია ტრასოლოგიურ კვლევის შედეგებში, რომელიც წარმოდგენილია ანგარიშში.

### **ლითონი**

**ბრინჯაოს ცული.** ე.წ. ყუადაქანებული, ტანი წაგრძელებულია - ტრაპეციის ფორმის. ყუაზე გაუყვება ოდნავ შესამჩნევი ქედი, მრგვალი სატარე ხვერილით. დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმის მეთოდით. ზომები: სიმაღლე - 12,0 სმ; ყუის სიგანე - 3,0 სმ. პირის სიგანე - 5,0 სმ. სატარე ხვრელის დმ - 2,2 სმ. (ტაბ. XXIX - 31/133-1; XXXIV).

აღმოჩნდა №1 ნაგებობის საზღვრებში, B3 კვადრატში.

ცულს პქონდა წმინდა პრაქტიკული სამეურნეო დანიშნულება.

### **პასტა (მინა)**

**მძივები** აღმოჩნდა 69 ცალი. ცილინდრული ფორმის, თეთრი - 41, ლურჯი - 28. დამზადებულია გაუმჭირვალე მინისებურო პასტისაგან.

67 ცალი აღმოჩნდა №4 სამარხ-აკლდამაში, მიცვალებულის ყელის არეში. ორი ცალი კი ცილინდრული კერის ბორდიურთან, 09 W კვადრატში გამოიყენებოდა სამკაულად.

### **ძვალი**

კვირისტავი, ნახევარსფერული, დაზიანებული, შეაში გამჭოლი ნახვრეტით, კვირისტავი დამზადებულია ცხოველის ბარძაფის თავისაგან. ზომები: დმ - 4,0 სმ; სისქე - 1,4 სმ.

აღმოჩნდა №4 სამარხ-აკლდამაში. მიცვალებულის კისრის არეში.

ძვლის კვირისტავების ფუნქცია საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ყოფილიყო.

### **ძვლოვანი მასალა**

**პალეოზოოლოგიური ნაშთები** თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანის კულტურულ ფენებში წარმოდგენილი იყო ცალკეული ძვლის ფრაგმენტების სახით. შედარებით კარგადაა დაცული სამარხებში აღმოჩნდილი ცხოველის ძვლები. ოსტეოლოგიური ნარჩენების საერთო რაოდენობა 194 - ერთეულს შეადგენს, რომელიც 32 კრებით ნომერშია თავმოყრილი.

ძვლოვანი მასლის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ თისელის სერის ნამოსახლარზე მცხოვრები მოსახლეობის მეურნეობის ერთ-ერთ დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა. ოსტეოლოგიურ მასალებში გვხვდება ხარის, ძროხის, ცხვრის და თხის ძვლები, აგრეთვე გარეული ცხოველების-ტახისა და შველის ძვლის ფრაგმენტები. დაწვრილებით იხილეთ პალეოზოოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც ანგარიშს თან ერთვის.

**ანთოროპოლოგიური (კრანიოლოგიური) მასალა.** KP.202+900 გაითხარა 10 სამარხი. აქედან №2 სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი მხოლოდ ქვედა კიღურებისა და მენჯის ძვლებით იყო წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ ანაბეჭდის სახით. ცუდად იყო დაცული ძვლები №1 და №3 სამარხებში, სადაც მოზარდები იყვნენ დაკრძალული. მათი მიახლოებითი ასაკის განსაზღვრა მოხერხდა კბილების მეშვეობით. კარგად იყო შედარებით შენახული კრანიალური მასალა შემდეგ სამარხებში: №4 (აკლდამა), №5, №6, №7 (წყვილადი დაკრძალვა), №8, №9 (წყვილადი დაკრძალვა) და №10. სულ განისაზღვრა 11 ინდივიდი. აქედან სამი ბავშვია. 8 მიცვალებულიდან ორი მდედრობითი სქესისაა, ხოლო 6 მამაკაცი. დაწვრილებით ამ ოქმაზე იხილეთ ანთოროპოლოგიური მასალის ანალიზი, რომელიც ანგარიშშია ჩართული.

**კომენტარი.** თისელის სერის ნამოსახლარისა და სამაროვანის (IV-293) გათხოვის პროცესში მოპოვებული არტენფაქტების უმრავლესობა კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი. თიხის ჭურჭლის შემადგენლობა ცხადყოფს, რომ საკვლევი ძეგლი მტკვარ-არაქის კულტურის წრეში ექცევა. საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ დღემდე შესწავლილ მტკვარ-არაქის კულტურის ძეგლებისათვის დამახასითებელია თიხის ნაწარმის მრავალფეროვნება. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არ წარმოადგენს თისელის სერის ნამოსახლარიც.

თიხის ჭურჭელი უმთავრესად სადაც, თუმცა გვხვდება რელიეფური (სპირალები, ნახევარმოვარისებური რკალები, გველის გამოსახულება) და ნაკაწრი გეომეტრიული ორნამენტით შემცული ფრაგმენტებიც. სიახლეს წარმოადგენს, თიხის ჭურჭელზე ამოკაწრული, სამკუთხედების მეშვეობით გადმოცემული ზომორფული ფიგურები. აღნიშნული მოტივი უცხოა საქართველოს მტკვარ-არაქის თიხის ნაწარმისათვის. მსგავს ორნამენტულ მოტივს, მტკვარ-არაქის კულტურის გავრცელების არეალში, ვხვდებით სომხეთის (შენგავითი) და ჩრდილო აღმოსავლეთ ანატოლიის (არსლან-თევკ, პულური, ქარაზი) ძეგლებზე. აღნიშნული ფაქტი უსათუოდ მიანიშნებს სამხრეთ საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებზე აღნიშნულ რეგიონებთან ადრებრინჯაოს ხანაში.

კერამიკული მასალიდან თვალში საცემია სადგრების მრავალფეროვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავათ ე.წ. ნალისებური სადგრების ფრაგმენტები სადგრების ეს ფორმა დამახასიათებელია საქართველოს მხოლოდ სამხრეთის რეგიონებისათვის. ახალციხის ამირანის გორის მასალებში წარმოდგენილია ნალისებური სადგრები, რომელთაც ცენტრალურ ნაწილში დაძერწილი აქვთ ანთოროპომორფული გამოსახულებები. ნალისებური სადგრის დეტალს უნდა წარმოადგენდეს, გაზისადენის მონაცემზე, სამაროვანის კულტურულ ფენაში ნაპოვნი ანტროპომორფული (?) გამოსახულებაც. ანალოგიურ გამოსახულებიანი ნალისებური სადგარი ჩვენთვის ცნობილია არარატის ველიდან.

თისელის სერის ნამოსახლარზე, ნაგებობა №1-ის არეალში, აღმოჩნდა ჯერ-ჯერობით ლითონის ერთადერთი ნივთი-ბრინჯაოს ცული. მსგავსი ცულები, რომელიც უკადაქანებული ცულის სახელითაც ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, უკელაზე აღრეულადა მიჩნეული. ამ ტიპის იარაღი საქართველოში ნაპოვნია შიდა ქართლის ტერიტორიაზე: ქულბაქებზე, იალბუზში, მეჯვრისხევში და ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონის სოფ. ბრდამორში. თისელის სერის ტიპის ცული აღმოჩნდა სომხეთში ლენინაკანთან. სომხეთიდანვეა ცნობილი ამგვარი ცულის ჩამოსახმელი ყალიბები – გარნისიდან და შენგავითიდან. აღნიშნული ტიპის ცული გავრცელებულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და მიჩნეულია ადგილობრივ,

მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩამოყალიბებულ ფორმად, რომელიც აქ ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდება. თისელის სერის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლზე მოპოვებულ ნივთიერ მასალაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს მეტად საინტერესო და შესწავლის თვალსაზრისით ძალზე პერსპექტიულ არქეოლოგიურ უბანთან, რომლის გათხრაც უეჭველად ბევრ სიახლეს შეიტანს მტკვარ-არაქსის კულტურის კვლევის საქმეში

## 6.0. ინტერპრეტაცია

თისელის სერზე KP 202+900-ზე მშენებლობის დროს, არქეოლოგიური კომპლექსები გამოვლინდა მიღსადენების ტრასის ორივე ზოლში. გაზადების მხარეზე კომპლექსები მიწის სამუშაოებით ნაკლებად იყო დაზიანებული. უფრო რთული მდგომარეობა იყო ნავთობის ზოლში, სადაც მშენებლობამ ისე გაანადგურა ნასახლარი, რომ აქ არსებულ ნაგებობებზე მსჯელობა მხოლოდ შერჩენილი ცალკეული დეტალების საფუძველზე გვიხდება. აქ, ნასახლარის ქვედა ტერასაზე, სამი ნაგებობის არსებობა ივარაუდება. ამავე ზოლში გაითხარა ორი სამარხიც. შემორჩენილი კულტურული ფენის სიმძლავრე ნასახლარის ამ ნაწილში 0,2-0,5 მეტრია, ნასახლარი ერთფენიანია.

რაც შეეხება გაზის ტრასას, აქ გამოვლინდა რვა სამარხი და მათ ზემოთ მდებარე ცილინდრული ფორმის კერა. სამარხები გამართულია საგანგებოდ (?) გაჭრილ მოზრდილ "თხრილში", რომელიც თანდათან ივსებოდა კულტურული ნაშთების შემცველი მიწით, რომელშიც ასევე კრძალავდნენ მიცვალებულებს.

თისელის სერზე გამოვლენილი ნაშთები განებაუთვება მტკვარ-არაქსის კულტურას. შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სხვა კავკასიურ კულტურას არც მანამდე და არც მერე, ისე ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას (ჯაფარიძე 1976: გვ. 62).

ამ კულტურის ნასახლარებს გვხდებით როგორც მთაში, ისე ბარში. შემჩნეულია, რომ მტკვარ-არაქსელი თავის საცხოვრებელს უფრო კონტინენტალური კლიმატის ზონაში ირჩევდა, ვიდრე ძლიერ ტყიანი ლანდშაფტის მქონე სუბტროპიკული კლიმატის ზონაში, რაც, როგორც ჩანს, სავსებით შეესაბამებოდა მისი მეურნეობის ხასიათს (ჯაფარიძე 1976: გვ. 95).

მტკვარ-არაქსული ნასახლარების განსაკუთრებული კონცენტრაცია შეინიშნება ქვემო და შიდა ქართლში, ჯავახეთისა და წალკის პლატოებზე - სადაც სწორედ ასეთი პირობებია - მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის ვარგისი ადგილები (Кუშნარევა, ჭუბინიშვილი 1970: გვ. 172).

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მხარეებით რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა ბორჯომის ხეობისა და მის მიმდებარე ტყიანი ლანდშაფტის მქონე რაიონებში (ჯაფარიძე 1976: გვ. 111). ამ კულტურის ძეგლები აქ მართალია ასე თუ ისე ცნობილი ცალკეული აღმოჩენებით (ღამბაშიძე, ტატიშვილი 1982; ნასიძე 1986: გვ. 446), მაგრამ მთლიანობაში, ამ ხანის ძეგლების რაოდენობით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ზემოთ ჩამოვლილ ოლქებს.

სადღეისოდ თისელის სერის მტკვარ-არაქსული ნასახლარი წარმოადგენს ბორჯომის ხეობაში სისტემატური გათხრებით შესწავლილ ამ კულტურის ერთადერთ ნასახლარს, რომელმაც გარკვეული შუქი უნდა მოჰყონოს მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების თავისებურებას საქართველოს ამ ნაწილში.

ძლიერი დაზიანების გამო ნასახლარი ვერ იძლევა ნათელ სურათს აქ არსებული ნაგებობის შესახებ და ვერ პასუხობს დასახლებასთან დაკავშირებულ მრავალ კითხვას. ამიტომ, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მთის ფერდობზე გაშენებულ ამ ნასახლარზე ნაგებობები ფერდის დახრილობის შესაბამისად ტერასულად უნდა ყოფილიყო განლაგებული. ქვის სწორი კედლების შემორჩენილი ფრაგმენტები გვაფიქრებინებს ოთხეუთხა ნაგებობების არსებობას, რომელთაც, ალბათ, ბანური გადახურვა უნდა ჰქონდა. ქვის ნაგებობა ძალზე დამახასიათებელია მეზობელი რეგიონებისათვის. ამავე ძეგლებთან პოულობს საერთოს თისელის სერის ნასახლარის თანადროული სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ცილინდრული ფორმის უშვერილო კერა და ამგვარივე კერების ნატეხებიც (ტაბ. XXI; XXVIII - 213/506; XXXI-212/477), რომელსაც უახლოესი ანალოგი ახალციხის ამირანის გორაზე ეძებება (ჩუბინიშვილი 1963, სურ. 2,4). ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ნასახლარზეც არ გვხვდება შიდა ქართლსა და სომხეთში ძალზე გავრცელებული მრგვალი, შევრილებიანი კერა. შენიშნულია, რომ ამგვარი კერა კავკასიის სამხრეთით მდებარე ოლქებისათვისაც იშვიათია (Кუშნარევა, ჭუბინიშვილი 1970: გვ. 175; ჯაფარიძე 1976: გვ. 160).

